პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 45-ე წელი. № 11 (13132) | პარასკევი, 15 იანვარი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

## დღეს ნომერშია:

- მომზადებული შევხვდეთ გაზაფხულს!
- სახალხო კონტროლი მოქმედებაში!
- ჩვენი პლანეტა ამ დღეებში
- ახალი ამბები, ცნობები, ფაქტები

## უკანასკნელი საათი

### დორტიკოსმა მიიღო საბჭოთა დელეგაცია

ჰავანა, 14 იანვარი. (საკდესი). გუშინ კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ოსვალდო დორტიკოსმა მიიღო საბჭოთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სააგენტო „ახალი ამბების" გამგეობის თავმჯდომარე ბ. ს. ბურკოვი, აგრეთვე რუსეთის სფსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი ლ. პ. ლიკოვა, რომელიც შრომის სამინისტროს მოწვევით ჩამოვიდა კუბაში.

გულთბილი და ხანგრძლივი საუბრის დროს დელეგატებმა მასპინძლებს გაუზიარეს თავიანთი შთაბეჭდილებანი.

რესპუბლიკის პრეზიდენტმა დიდი ინტერესი გამოიჩინა კოსმოსის ათვისების საკითხებისადმი. დელეგაციის წევრმა კოსმონავტმა ვლადიმერ კომაროვმა დაწვრილებით ილაპარაკა კოსმოსური ფრენის შესახებ.

დელეგაციის მეთაურმა ბ. ს. ბურკოვმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელების სახელით ოსვალდო დორტიკოსს, პრემიერ-მინისტრ ფიდელ კასტროს, მთავრობის წევრებსა და მთელ ხალხს მიულოცა კუბის რევოლუციის მეექვსე წლისთავი და ახალი წელი.

დასასრულ დორტიკოსმა ბ. ს. ბურკოვს სთხოვა მისი გულითადი სალამი გადაეცა საბჭოთა ხალხისათვის, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებისა და პირადად ლ. ი. ბრეჟნევისათვის, ა. ი. მიქოიანისათვის და ა. ნ. კოსიგინისათვის.

საუბარს ესწრებოდნენ კუბის მსოფლიოს ხალხთა მეგობრობის ინსტიტუტის დირექტორი მასოლა და სსრ კავშირის ელჩი კუბის რესპუბლიკაში ა. ი. ალექსეევი.

### იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

რომი, 14 იანვარი. (საკდესი). დღეს აქ მუშაობა დაიწყო იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა. მოხსენება „პოლიტიკური მდგომარეობა რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ" გააკეთა იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ლუიჯი ლონგომ.

### ბობოქრობს სტიქია

თეირანი, 14 იანვარი. (საკდესი). მოდის დაწვრილებითი ცნობები იმ სტიქიური უბედურების შესახებ, რაც თავს დაატყდა ირანის ზოგიერთ რაიონს. როგორც ცნობილია, ძლიერი თოვა იყო ფარსის პროვინციაში. პროვინციის დედაქალაქი შირაზი ვეებერთელა ნამქერების გამო მოწყდა ირანის დანარჩენ რაიონებს. ანალოგიური სურათია გილიანის (ჩრდილოეთი ირანი) პროვინციაშიც.

დიდ ქარავანს, რომლის შემადგენლობაში იყო 150 კაცი, გილიანიდან სურსათი გადაჰქონდა ირანის აზერბაიჯანში. ქარავანი მთლიანად ჩაიმარხა თოვლში გზაზე, რომელიც გადის კასპიის სამხრეთ სანაპიროზე.

არმიის პერსონალის რაზმები წმენდნენ შირაზ-ისპაანის გზას, სადაც, როგორც პოლიციელები ვარაუდობენ, ავტომობილებსა და ავტობუსებში არის ათასამდე მგზავრი. მთელი გზა დაფარულია თოვლის ზვავებით.

თეირანის აეროპორტი თვითმფრინავებს არ იღებს ნამქერების გამო.

ამანი, 14 იანვარი. (საკდესი). განვლილი ორი დღე-ღამის მანძილზე ძლიერი თოვა იყო იორდანიის სამხრეთ ნაწილში. ზედიზედ მესამე დღეა მიმოსვლა არ არის ამან-აკაბის (მეწამული ზღვის ნავსადგური) გზაზე. დაზარალებულთათვის დახმარების გასაწევად გაიგზავნა სამხედრო ნაწილები. იორდანიის კაბინეტის საგანგებო სხდომამ შექმნა მაშველი სამუშაოების სპეციალური კომიტეტი. მეფე ჰუსეინი პირადი ვერტმფრენავით ხელმძღვანელობდა მაშველ ოპერაციებს.

თოვამ და წყალდიდობამ დიდი ზარალი მიაყენეს იორდანიის ქალაქებსა და სოფლებს, ძლიერად დაზიანდა ნათესები.

# მოსავალს საფუძველი ეყრება ახლა, დღეს

ზამთარი განახევრდა, მინდვრის მშრომელთათვის პასუხსაგები პერიოდი — გაზაფხული ახლოვდება. საგაზაფხულო თესვა მიმდინარე წლის უხვი მოსავლისათვის ბრძოლის დიდმნიშვნელოვანი ეტაპია.

საგაზაფხულო თესვისათვის მზადება ჩვენი რესპუბლიკის მინდვრებში გასული წლის შემოდგომაზევე დაიწყო და ახლა წარმატებით მიმდინარეობს. ცნობილია, რომ სათოხნი კულტურების მზრალზე თესვა შესანიშნავ ნაყოფს იძლევა. მიწის დამუშავების ეს აგროტექნიკური საშუალება სასარგებლოა დასავლეთ საქართველოს მეტ წილ რაიონებშიც. მაგალითად, წყალტუბოელმა მემინდვრეებმა გასულ წელს მზრალზე დათესეს სიმინდი და უხვი მოსავალი მიიღეს. ისინი მიმდინარე წლის საგაზაფხულო თესვისათვის კარგად ემზადებიან, მზრალად ხვნის გეგმა აგროვადებში დიდი გადაჭარბებით შეასრულეს. გადაჭარბებით შეასრულეს გეგმები აგრეთვე გურჯაანის, თელავის, ზესტაფონის, თეთრი წყაროს რაიონებმა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა.

მაგრამ ეს საქმე რესპუბლიკაში მაინც ჩამორჩა. მზრალად მოხნულია 160.924 ჰექტარი ნაცვლად 201.710 ჰექტარისა. განსაკუთრებით ჩამორჩნენ ზუგდიდის, მაიაკოვსკის, ახალქალაქის და სხვა რაიონები. ამ რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებმა, სპეციალისტებმა, მექანიზატორებმა მთელი ძალების მაქსიმალური დაძაბვით, რაც შეიძლება დაჩქარებით უნდა გამოასწორონ მდგომარეობა, საგაზაფხულო ხვნა მაღალხარისხოვნად და დადგენილ აგროვადებში დაამთავრონ.

მაღალხარისხოვანი თესლი უხვი მოსავლის ოქროს ფონდია. ჯანსაღი თესლიდან ჯანსაღი მცენარე ამოცენდება და კარგი მოვლის პირობებში უხვი მოსავლის მიღების მტკიცე გარანტიას იძლევა. თესლის კონდიციამდე აყვანა და მისი შენახვა მინდვრის მშრომელთა ზამთრის საზრუნავია. ახლა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს კონდიციური თესლი საკმაოდ უნდა ჰქონდეს შენახული. მაგრამ ზოგან ეს ასე არ არის. საგაზაფხულო თესვისათვის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა მართალია მზრალად ხვნა დროზე დაამთავრეს, მაგრამ საჭირო თესლი ჯერ არ მოუმარაგებიათ. მათ სჭირდებათ 18.517 ცენტნერი სიმინდის, ქერის, პარკოსანი კულტურების თესლი. საწყობში ამ რაოდენობით აქვთ თესლი, მაგრამ გაწმენდილი და კონდიციური მხოლოდ 1.312 ცენტნერია.

უარესი მდგომარეობაა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. აქ ნაცვლად 14.085 ცენტნერისა მომარაგებული აქვთ 12.207 ცენტნერი თესლი. აქედან კონდიციურია მხოლოდ 1.371 ცენტნერი. დანარჩენი გაუწმენდავი და ტენიანია. ტენიანი თესლი გაზაფხულამდე კარგად ვერ შეინახება და საგაზაფხულო თესვის საქმე საფრთხის წინაშე აღმოჩნდება.

სოფლის მექანიზატორებს ყველაფერი აქვთ იმისათვის, რომ მოკლე ვადაში და მაღალხარისხოვნად მოამზადონ ტექნიკა, უზრუნველყონ მანქანების შეუფერხებელი მუშაობა თესვის დროს. ბევრგან რემონტის საქმეში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს კარგად ეხმარებიან „სოფლტექნიკის" რაიონული განყოფილებები. გურჯაანის „სოფლტექნიკის" განყოფილებაში ფართოდ იყენებენ რემონტის პროგრესულ ტექნოლოგიას. წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით აწარმოებენ ტექნიკურ მოვლას, რის შედეგადაც შემცირდა ხარჯები რემონტსა და ტექნიკურ მომსახურებაზე. სარემონტო სახელოსნოში ტრაქტორებისა და სხვა იარაღ-მანქანების რემონტს აწარმოებენ გარანტიით. გურჯაანელი მექანიზატორები შეკეთებული ძრავის მუშაობის 900-საათიან გარანტიას იძლევიან. ახლა იმისათვის იბრძვიან, რომ რემონტის ხარისხის გაუმჯობესებით შეკეთებული ძრავის მუშაობის ხანგრძლივობა 1.500 საათამდე გაზარდონ.

გარანტიით რემონტის შემოღებამ გაზარდა ორმხრივი პასუხისმგებლობა, შემკეთებელმა და ტრაქტორისტმა კარგად იციან, რომ ნაადრევად მწყობრიდან გამოსული დეტალის აღდგენა ან ახლით შეცვლა დამნაშავის ხარჯზე ხდება. ეს ხელს უწყობს რემონტის ხარისხის გაუმჯობესებას, მანქანათა გამოსადეგობის ვადის გახანგრძლივებას. გურჯაანელთა საქმიანობა მისაბაძია.

რესპუბლიკის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა ტრაქტორებისა და სხვა იარაღ-მანქანების რემონტის გასული წლის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. მაგრამ მანქანებს რემონტს ყველგან მაღალხარისხოვნად როდი ასრულებენ. არის შემთხვევები, როცა შეკეთებული მანქანა მალე გამოდის მწყობრიდან, რაც იწვევს სამუშაოთა გაჭიანურებას, თესვის აგროვადების დარღვევას.

გასულ წელს ახალქალაქის რაიონის ბევრ კოლმეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მოვლას ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ, ტრაქტორების რემონტის ხარისხი დაბალი იყო. ამან კი ზოგან საგაზაფხულო თესვის გაჭიანურება და მოსავლიანობის შემცირება გამოიწვია. წელს ეს აღარ უნდა გამეორდეს.

სათადარიგო ნაწილებით მომარაგების საქმე რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას. თესვის კამპანიის შეფერხება რომ არ მოხდეს, საჭიროა აქედანვე ვიზრუნოთ სათადარიგო ნაწილებით მომარაგებაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რემონტის ხარისხისადმი კონტროლს ინჟინრები და მექანიკოსები უნდა მეთაურობდნენ. მათი მოვალეობაა სწორად დააყენონ მუშაობის ტექნოლოგია სახელოსნოებში, იბრძოლონ წუნის წინააღმდეგ.

მინდვრის მშრომელთა ერთგული თანაშემწეა ქიმია. სადაც პარტიული და საბჭოთა ორგანოები, საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელები შეუნელებელ ყურადღებას აქცევენ ქიმიის სწავლებას, სადაც კარგად იყენებენ ქიმიურ ცოდნას, იქ წარმატებაც უზრუნველყოფილია.

ეს კარგად უნდა ვიცოდეთ. სწორედ ქიმიური ცოდნის დაუფლება და მისი სწორად გამოყენება მტკიცე გარანტიას გვაძლევს, რომ სოფლის მშრომელები აგროვადებში და მაღალხარისხოვნად შეასრულებენ სათესი მიწების სასუქებით განოყიერებას, ნათესების მოვლას, მოიყვანენ უხვ მოსავალს.

საგაზაფხულო თესვისათვის მზადების პერიოდში თავიანთი სიტყვა უნდა თქვან პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის რაიონულმა კომიტეტებმა. მათ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფების, სოფლის მშრომელთა აქტიური მონაწილეობით უნდა მოაწყონ რეიდები, ადგილზე შეამოწმონ თესლის მომზადების იარაღ-მანქანების რემონტის, ქიმიური სწავლების მიმდინარეობა და დასახონ ქმედითი ღონისძიებანი, რომ საგაზაფხულო თესვა ყველგან შეუფერხებლად და მაღალხარისხოვნად შესრულდეს.

სულ ახლახან დამთავრდა რაიონული პარტიული კონფერენციები, რაისაბჭოს სესიები, შეიქმნა ახალი რაიონები. ხელმძღვანელობის ტერიტორიულ-საწარმოო ნიშნით აგების პრინციპზე გადასვლა აუცილებლად დადებით ნაყოფს გამოიღებს. პარტიის რაიონული კომიტეტების, რაისაბჭოს აღმასკომების, სოფლის მეურნეობის სამმართველოების, საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელების სადღეისო ამოცანა ის არის, რომ შემოქმედებითად მიუდგნენ საგაზაფხულო თესვის საქმეს, დარაზმონ კომუნისტები, სოფლის ყველა მშრომელი იმისათვის, რომ საგაზაფხულო სამუშაოები აგროვადებში დამთავრდეს, აქტიურად იბრძოლონ შვიდწლედის მეშვიდე, დამამთავრებელი წლის უხვი მოსავლის მიღებისათვის.





## შეხიბრების ინიციატორებთან

მოსკოვის 20 და ლენინგრადის 18 საწარმოს კოლექტივებმა ამოცანად დაისახეს სამი-ოთხი წლის განმავლობაში მიაღწიონ საუკეთესო მსოფლიო სტანდარტების დონეს იმ პროდუქციის უმნიშვნელოვანეს სახეობებში, რომელსაც ისინი უშვებენ. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ეს ინიციატივა მოიწონეს.

შეჯიბრების ინიციატორთა შორის არის ლენინგრადის ვერა სლუცკაიას სახელობის საფეიქრო ფაბრიკა. საწარმოში გადაწყვიტეს 1965 წელს დაამზადონ გაუმჯობესებულად გამოყვანილი 50 მილიონი მეტრი სხვადასხვანაირი ქსოვილი. ეს ერთიორად მეტია, ვიდრე შარშან.

ამ ფაბრიკის საამქროებში გაჩაღებულია დიდი მუშაობა ქსოვილების თვისებათა გაუმჯობესების მიზნით საწარმოო პროცესების მექანიზაციისათვის. ახლა ფაბრიკაში მწყობრში ჩადგა გოგირდთან სადებათა დასამზადებელი ავტომატიზებული სადგური.

სურათებზე: მარცხნივ — მხატვრები ევგენია ტკაჩუკი და ელეონორა ფოკინა ათვალიერებენ ლავსანის ახალ, განსაკუთრებით მედეგ პლისირებულ ქსოვილს, მარჯვნივ — სადებრების დასამზადებელი ახალი ავტომატიზებული სადგური.

ფოტო პ. ფედოტოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

**• მოსკოველთა და ლენინგრადელთა თაოსნობა — მოქმედებაში!**

# კარგი ხარისხი ჩვენი დევიზია

## ახალი ტექნოლოგია წარმოებაში

მოსკოვისა და ლენინგრადის 38 საწარმოს შესანიშნავ თაოსნობას — უახლოესი სამი-ოთხი წლის განმავლობაში მიაღწიონ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის საუკეთესო მსოფლიო სტანდარტების დონეს — დიდი ინტერესით გამოეხმაურა საქართველოს საწარმოო გაერთიანება „საქაბრეშუმის" კოლექტივი. აქ იკისრეს ამიერიდან პროდუქცია იყოს მხოლოდ მაღალხარისხოვანი. ამ ვალდებულების გასანაღდებლად საწარმოში ინერგება ახალი ტექნიკა, უმჯობესდება ტექნოლოგიური პროცესები.

ამ დღეებში გამომყვან საამქროში ამუშავდება მოჩითული აბრეშუმის ქსოვილების გამოსამჟღავნებელი ახალი ტიპის მანქანა. მონტაჟდება შემტრუსავი მანქანები. მოკლე დროში საექსპლოატაციოდ გადაეცემა ავტომატური საშრობი მანქანები და წყლის დამარბილებელი აგრეგატი. გათვალისწინებულია აგრეთვე გამომყვან წარმოებაში შეიქმნას ნაკადური ხაზი, რომელიც ხელს შეუწყობს ქაქარდული და სასარჩულე ქსოვილების უკეთესად დამუშავებას.

წარმოებაში დაინერგა ქსოვილის გამოყვანა-მოჩითვის ახალი ტექნოლოგია, რომელიც საგრძნობლად ამაღლებს კაპრონის ქსოვილის ხარისხს. ამასთან ასეთი წესით დამზადებული ქსოვილი გარეგნულად უფრო ლამაზი და მიმზიდველია.

მიმდინარე წლის თებერვლიდან საწარმოს კოლექტივი გამოუშვებს რამდენიმე ახალი სახის ქსოვილს. მათ შორის აცეტატური ვისკოზური აბრეშუმის სასარჩულე ქსოვილს, ქაქარდულ საკაბე-საკოსტიუმე ქსოვილს, კაპრონის საპერანგეს და სხვ.

წარმოებაში ამ სიახლეთა დანერგვა ფეიქრებს საშუალებას მისცემს აამაღლონ პროდუქციის ხარისხი და მიაღწიონ იმას, რომ თბილისური ქსოვილები უპასუხებდეს საუკეთესო მსოფლიო პროდუქციის სტანდარტების დონეს.

ც. სისაური.



წელს ქარხანა „თბილგაზაპარატის" კოლექტივი მომხმარებელს მიაწვდის მოდერნიზებულ გაზის ქურებს.

სურათზე: თქვენ ხედავთ ამწყობი საამქროს მოწინავე კომკავშირელ მუშებს (მარცხნიდან მარჯვნივ) გ. მაღლაკელიძეს და ნ. ბარბაქაძეს, რომლებიც ყოველთვიურ საწარმოო გეგმას 110-115 პროცენტით ასრულებენ.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## საჩუქარი მეტალურგებს

ზესტაფონი. (საკ. კორ.). შვიდწლედის დამამთავრებელი წლის პირველ დღეებში ზესტაფონის მეტალურგებმა კარგი საჩუქარი მიიღეს. მწყობრში ჩადგა კიდევ ორი ახალი მძლავრი ელექტროღუმელი. ამ ღუმელების მშენებლობაზე რამდენიმე მილიონი მანეთი დაიხარჯა. აქ შესრულდა 32 ათასი კუბური მეტრი რკინაბეტონის სამუშაოები, დამონტაჟდა 3 ათასი ტონა ლითონკონსტრუქციები და სხვ.

ახალი ღუმელის მშენებლობაზე თავი გამოიჩინეს გ. პაპიძის, გ. ქურციძის, გ. ძაგანიძის კომპლექსურმა ბრიგადებმა, აგრეთვე ნ. ხომასურიძის, ნ. რეშეტნიკოვის, ლ. ყუსიანის, ს. ბოჭორიშვილის მემონტაჟეთა ბრიგადებმა.

ზესტაფონელ მემონტაჟეებს მეგობრული დახმარება გაუწიეს რუსთაველ, სუმგაითელ, როსტოველ და ვოლგოგრადელ მემონტაჟეთა ბრიგადებმა.

ახალი ელექტროღუმელები ამ დღეებში მოგვცემენ ძვირფას შენადნობს.

## პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრი ეწვია ა. ი. მიქოიანს

13 იანვარს პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრი ზულფიკარ ალი ბჰუტო კრემლში ეწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს.

ვიზიტის დროს გაიმართა მეგობრული საუბარი.

მინისტრთან ერთად იყო პაკისტანის ელჩი საბჭოთა კავშირში იკბალ ატჰარი და პაკისტანის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური დირექტორი ალა შაჰი.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუბარს ესწრებოდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. პ. ფირიუბინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ აზიის განყოფილების გამგე ვ. ი. ლიხაჩოვი.

(საკდესი).

## მოსკოვიდან გაემგზავრა პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრი

14 იანვარს მოსკოვიდან პრაღაში გაემგზავრნენ პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრი ზულფიკარ ალი ბჰუტო და მისი თანმხლები პირნი.

გაფრენის წინ ზულფიკარ ალი ბჰუტომ საკდესის კორესპონდენტს განუცხადა, რომ იგი მოსკოვში ოთხი წლის წინათ იყო. ამ ხნის განმავლობაში, განაგრძო მინისტრმა, უდიდესი ცვლილებანი მოხდა. მე ვნახე საბინაო მშენებლობის დიდი გაქანება და ამან კოლოსალური შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მინისტრმა აღნიშნა, რომ საუბრები, რომლებიც მას საბჭოთა ხელმძღვანელებთან ჰქონდა, იყო გულახდილი და გულწრფელი. „ამ საუბრების დროს, — თქვა მან, — ჩვენ ავღნიშნეთ საერთო მიდგომა აზიის ქვეყნების განვითარების მიმართ მშვიდობის ინტერესებისათვის მთელ მსოფლიოში".

პაკისტანელმა მინისტრმა გულითადი მადლობა გადაუხადა საბჭოთა მთავრობასა და საბჭოთა ხალხს იმ გულთბილი მიღებისათვის, რომელიც მასა და მის თანამგზავრებს აღმოუჩინეს მოსკოვში.

(საკდესი).

## შეხვედრა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

მოსკოვში მყოფი კვიპროსის მშრომელთა პროგრესული პარტიის (აკელის) ცენტრალური კომიტეტის დელეგაცია, რომელშიც შედიან აკელის გენერალური მდივანი ე. პაპაიოანუ, აკელის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ხ. მიხაილიდისი და აკელის ცენტრალური კომიტეტის წევრი გ. სავიდისი, 11 იანვარს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, ცენტრალური კომიტეტის მდივანს მ. ა. სუსლოვსა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ბ. ნ. პონომარიოვს.

შეხვედრის დროს აკელის დელეგაციამ კვიპროსელი ხალხის სახელით მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირს იმისათვის, რომ მტკიცედ უჭერს მხარს და ეხმარება კვიპროსელ ხალხს, რომელიც იბრძვის სრული დამოუკიდებლობისათვის, იმ უფლების მოპოვებისათვის, რომ თვითონ გადაჭრას თავისი მომავლის საკითხი. მან გააცნო სკკპ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლებს კვიპროსის ბრძოლის პრობლემები, უმთავრესად იმასთან დაკავშირებით, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესია ახლო მომავალში განიხილავს კვიპროსის რესპუბლიკის მიმართვას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლებმა საუბარში დაადასტურეს საბჭოთა კავშირის პოზიცია, რომელიც იმით გამოიხატება, რომ კვიპროსის საკითხის გადაჭრას მთელი კვიპროსელი ხალხის, ბერძნებისა და თურქების ინტერესების გათვალისწინებით საფუძვლად უნდა დაედოს კვიპროსის რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და მთლიანობის პატივისცემა, გარეშე ძალების ჩაურევლობა და კვიპროსელი ხალხის იმ შეუვალი უფლების განხორციელება, რომ თვითონ მოაგვაროს თავისი ქვეყნის ყველა საქმე.

შეხვედრა მეგობრობის, გულითადობის ვითარებაში მიმდინარეობდა.

## სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის პლენუმი

მოსკოვი, 14 იანვარი. (საკდესი). დღეს გაიხსნა სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის მორიგი პლენუმი. იგი მიეძღვნა საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიის ორი დიდი თარიღისათვის — დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადებას. პლენუმი განიხილავს აგრეთვე სსრ კავშირის სამხატვრო ფონდის საქმიანობის საკითხს და მხატვართა ორგანიზაციის მუშაობის 1965 წლის გეგმას.

პლენუმი 4 დღეს გასტანს.

# ზამთარი ხობში

### რეპორტაჟი

სუსხიანი ზამთარია, ბევრგან თოვლია. ხობის რაიონის მშრომელებს დიდი საზრუნავი გაუჩნდათ.

ჯანსაღი ტექნიკა გაზაფხულს! — ამ დევიზით შრომობენ ხობელი მექანიზატორები. „საქსოფლტექნიკის" ზუგდიდის რაიონული გაერთიანების (მმართველი ტ. წულეისკირი) ხობის სარემონტო სახელოსნოებში დილიდან დაღამებამდე არ წყდება დაზგა-დანადგარების ხმაური. აქ მექანიზატორები ა. ცირღავა, ე. შონია, გ. ბერაია, გ. გაბედია, ა. გელენავა, ვ. ყურუა, ტ. ზაქარაია, სარემონტო სახელოსნოების ხელმძღვანელი ინჟინერ-მექანიზატორი კ. ლატარია ტრაქტორის ყველა ნაწილს საგულდაგულოდ სინჯავენ, უვარგისს ახლით ცვლიან, ნაწილს რემონტს უკეთებენ. გამზადებულ ტრაქტორებს გამოსაცდელ ნაკვეთზე ამუშავებენ. თუ წუნი აღმოაჩნდა, მიზეზს არკვევენ, კვლავ სახელოსნოში აბრუნებენ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია წყალთა მეურნეობის სამინისტროს ხობის სამელიორაციო მექანიზაციის სამმართველოს (მმართველი ი. ბერიშვილი) მუშაკების ინიციატივა. ისინი მეგობრობის ხელს უწვდიან ხობელ მექანიზატორებს. ხობში არის ისეთი ტრაქტორები, რომლებსაც კაპიტალური რემონტი სჭირდება და მისი გაკეთება სახელოსნოებში ვერ ხერხდება. ამ შემთხვევაში რემონტის საქმეში მათ სამელიორაციო სამმართველოს მუშაკები ეხმარებიან.

ალაყაფის კარი გაიღო და ახალსოფლის საბჭოთა მეურნეობის სახელოსნოს კარიდამოდან „დტ-54" მარკის ტრაქტორი გამოვიდა. სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი ვ. გრიგალაშვილი, ტრაქტორისტი უ. კოპაძე, რემონტზე მომუშავე რ. ასანიძეს, ვ. ჩადუნელს, ინჟინერ-მექანიზატორ ი. კაცუბას დაემშვიდობნენ, მანქანის კარგი შეკეთებისათვის მადლობა გადაუხადეს და მინდვრად სამუშაოდ გასწიეს.

არ გასულა ორი საათი, და სახელოსნოში „ს-80" მარკის ტრაქტორი აამუშავეს. ასე თანდათანობით, გეგმიანად მიმდინარეობს ტრაქტორების რემონტი.

ახალსოფლის საბჭოთა მეურნეობის სასიმინდე ნაკვეთებში ენერგიულად მუშაობენ მექანიზატორები უშანგი კოპაძე და გიორგი გოგოლაძე. სასიმინდედ ნიადაგის მომზადების ყოველდღიურ დავალებას 150 პროცენტით ასრულებენ. უკვე აითვისეს 80 ჰექტარი ყამირი სასიმინდედ. მზრალად მოხნულია 160 ჰექტარი.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთი დიდი რეზერვი მაღალხარისხოვანი თესლია. იგი 30-40 პროცენტით ადიდებს მოსავლიანობას. ეს კარგად ესმით ხობის რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ხეთის კოლმეურნეობა „კოლხიდამ" (თავმჯდომარე ა. სართანია) უკვე მთლიანად მოამზადა და სათანადო კონდიციამდე აიყვანა 225 ცენტნერი სიმინდის თესლი.

ასევე მზად აქვთ სოიისა და ლობიოს თესლი. ამ მხრივ კარგად მუშაობენ და საგაზაფხულო თესვისათვის მთლიანად კონდიციური თესლი აქვთ ხამისკურის (თავმჯდომარე ვ. კუკავა), ნოჯიხევის (თავმჯდომარე ი. თუთბერიძე), ახალხიბულის (თავმჯდომარე შ. კემულარია), ძველი ხიბულის (თავმჯდომარე ჭ. ჯიმკარიანი), დაბა ხობის (თავმჯდომარე ა. ყორშია) და სხვა კოლმეურნეობებს, ქალადიდისა (დირექტორი შ. ძნელაძე) და პატარა ფოთის (დირექტორი რ. სეხკურია) საბჭოთა მეურნეობებს.

— ამჟამად, — თქვა საუბარში საქართველოს კომპარტიის ხობის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ალ. წურწუმიამ, — საკოლმეურნეო მინდვრებში წყდება მიმდინარე წლის უხვი მოსავლის ბედი. ხობის რაიონის მხვნელ-მთესველები, სანამ მინდვრის სამუშაოები მასობრივად არ დაწყებულა, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ყოველმხრივ მოამზადონ გაზაფხულისათვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, საჭირო რაოდენობით იქონიონ სიმინდის, სოიის, ლობიოს და სხვა კულტურების კონდიციური თესლი.

შ. ჭოჭუა,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

## სწრაფად, ხარისხიანად

ზნაური. (საკ. კორ.). თიღვის კოლმეურნეობაში სწრაფი ტემპით არემონტებენ ტექნიკას. გამოცდილი ტრაქტორისტის თ. თხელიძის ხელმძღვანელობით თიღველთა 9 ტრაქტორმა უკვე დატოვა სახელოსნო და კოლმეურნეობის ფარდულებში გადაინაცვლა. ისინი გაზაფხულის სამუშაოებისათვის მზად არიან.

## თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს სესია

13 იანვარს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების მეცხრე მოწვევის საქალაქო საბჭოს მერვე სესია.

სესიამ განიხილა ორი საკითხი.

პირველ საკითხზე მოხსენებით — თბილისის საქალაქო მეურნეობის განვითარების 1965 წლის გეგმა — გამოვიდა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დეპუტატი ა. მელაძე.

მეორე საკითხზე — ქალაქ თბილისის 1965 წლის ბიუჯეტი და 1963 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში — მოხსენება გააკეთა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგემ დეპუტატმა კ. სოხაძემ.

ორივე საკითხზე თანამოხსენებით გამოვიდა თბილისის საქალაქო საბჭოს მუდმივი საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დეპუტატი ბ. გუჯეჯიანი.

მოხსენებათა გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა ა. კორშიამ, ა. შანიძემ, გ. შენგელიამ, დ. ლორთქიფანიძემ, ა. ჩარკვიანმა, ვ. მურავლიოვამ, ბ. მურღულიამ, ვ. ჭანკოტაძემ.

სესიამ ერთხმად დაამტკიცა თბილისის საქალაქო მეურნეობის განვითარების 1965 წლის გეგმა და ბიუჯეტი და 1963 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

განხილულ საკითხებზე მიღებულ იქნა სათანადო დადგენილებანი.

## ჩვენი დიდი სამშობლო

# საგაზაფხულო თესვისათვის მზადება დამკვრელური ფრონტია!

კომუნისტი

[illegible]

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის გვერდი №20

ამ გვერდზე წაიკითხავთ:

- დროულად გადავზიდოთ სახალხო-სამეურნეო ტვირთი
- კონტროლის საგუშაგოზე გამყიდველი და მომხმარებელი

## საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტში

# ნაკლოვანებანი რკინიგზის ვაგონების გამოყენებაში

[illegible] ვაგონების გაცდენა შარშან გაიზარდა წინა წელთან შედარებით. ამით სახალხო მეურნეობას მნიშვნელოვანი ზარალი მოსდის.

რესპუბლიკის ბევრი საწარმო არ იცავს სატვირთო ოპერაციებისას ვაგონების გაცდენის დაწესებულ ნორმას, რის შედეგადაც გასული წლის ათ თვეში დაშვებულია თვითეული ვაგონის გაცდენა საშუალოდ 0,9 საათით ანუ საერთოდ 1.251 ათასი ვაგონ-საათით. ეს 9 პროცენტით აღემატება ვაგონების გაცდენას 1963 წლის სათანადო პერიოდში. ვაგონების ზენორმატიული გაცდენისათვის საწარმოებმა რკინიგზას გადაუხადეს 627,4 ათასი მანეთი ჯარიმა.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ნავთლუღის № 1 წისქვილ-კომბინატისა და „თბილგვირაბმშენის" რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხნის მისასვლელ ლიანდაგებზე ვაგონების ნორმის ზევით გაცდენა ერთიორად და უფრო მეტად გაიზარდა. სულ შემოწმებული 34 საწარმოდან თექვსმეტში აღმოჩნდა ვაგონების გაცდენის ზრდა. რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ (დირექტორი ამხ. სულაძე) გასული წლის ათ თვეში დაუშვა ვაგონების გაცდენა 212 ათასი ვაგონ-საათის მოცულობით და რკინიგზას გადაუხადა 70,3 ათასი მანეთი ჯარიმა; რუსთავის ქიმკომბინატმა (დირექტორი ამხ. ხოფერია) შესაბამისად 36,9 ათასი ვაგონ-საათი და 39,7 ათასი მანეთი; საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტმა (მმართველი ამხ. უსტიაშვილი) — 41,4 ათასი ვაგონ-საათი და 28 ათასი მანეთი; ნავთლუღის № 1 წისქვილკომბინატმა (დირექტორი ამხ. წულუკიძე) — 27 ათასი ვაგონ-საათი და 14 ათასი მანეთი.

ანალოგიური მდგომარეობაა ქუთაისის საავტომობილო და რუსთავის ცემენტის ქარხნებში, ფოთის ნავსადგურის სამმართველოში, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს „კოლხიდმშენში" და სხვ.

რკინიგზის ზოგიერთ სადგურში მოგვარებული არ არის სამანევრო მუშაობა. თბილისის სატვირთო სადგურსა (უფროსი ამხ. შეყრილაძე) და რუსთავის სატვირთო სადგურში (უფროსი ამხ. ძნელაძე) 234 ვაგონის შერჩევითი შემოწმებით გამოირკვა, რომ გადმოტვირთვისათვის მიწოდების მოლოდინში ერთი ვაგონის საშუალო გაცდენა 2,5-5-ჯერ აღემატებოდა ნორმას, ხოლო ცალკეული ვაგონები გაცდა 27-დან 192 საათამდე.

ვაგონების მნიშვნელოვანი გაცდენის მიზეზია ლოკომოტივების არა თავის დროზე მიწოდება შედგენილი მატარებლების გასაგზავნად.

ვაგონების გაცდენის დაწესებული ნორმების დარღვევის ერთ-ერთი მიზეზია რკინიგზის სადგურებისა და საწარმოთა სატრანსპორტო საამქროების მუშაობის არასაკმაო შეთანხმებულობა. სუსტად ინერგება გამოცდილება სადგურებისა და მისასვლელი ლიანდაგების მუშაობის ორგანიზაციისა ერთიანი ტექნოლოგიური პროცესის და ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების ფართო კოოპერირების საფუძველზე.

ვაგონების გამოყენებაში სერიოზული ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ მთელი რიგი საწარმოების ხელმძღვანელები ჯეროვნად არ აფასებენ ამ საკითხის მნიშვნელობას, საკმაოდ არ სწვდებიან სატრანსპორტო საამქროების მუშაობას, არ ახორციელებენ ეფექტურ ღონისძიებებს ასეთი საამქროების განვითარებისა და ტექნიკური აღჭურვისათვის, აგრეთვე დასატვირთავ-განსატვირთავი მექანიზმებისა და სატრანსპორტო საშუალებების უკეთ გამოყენებისათვის. მაგალითად, პორტალური ამწეების დატვირთვამ ფოთის საზღვაო ნავსადგურში გასული წლის ათი თვის მანძილზე შეადგინა საბიუჯეტო დროის მხოლოდ 18 პროცენტი, ხოლო თბილისის დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა კანტორაში მექანიზმების გაცდენამ ამავე პერიოდში 1,6 ათას საათს მიაღწია. ტვირთების გადმოტვირთვისას მექანიზაციის საშუალებებს განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად იყენებენ სამშენებლო ორგანიზაციებისა და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოების მისასვლელ ლიანდაგებზე.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭო, სამინისტროები და უწყებები, ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისისა და სამტრედიის განყოფილებები არადამაკმაყოფილებლად ახორციელებენ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებებს საწარმოთა სატრანსპორტო საამქროებისა და რკინიგზის სადგურების მუშაობის გასაუმჯობესებლად. ცუდად ეწევიან იმ საწარმოთა დადებითი გამოცდილების პოპულარიზაციას, რომლებიც სისტემატურად იცავენ ვაგონთა გაცდენის ნორმებს. არ წყდება ის საკითხი, რომ შეიქმნას გაერთიანებული სატრანსპორტო მეურნეობანი საწარმოთა არსებული სატრანსპორტო საამქროების ბაზაზე. ასეთ მეურნეობათა შექმნა კი ხელს უწყობს ვაგონთა გაცდენის მნიშვნელოვან შემცირებას.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ადგილობრივი ორგანოები, ხელშემწყობი ჯგუფები და განსაკუთრებით პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის რუსთავის, ბათუმისა და ფოთის საქალაქო კომიტეტები, თბილისის ლენინის და 26 კომისრის რაიონების პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ ამ საკითხებს და არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის დადგენილებებს რკინიგზის სადგურებისა და მათს მომსახურებაში მყოფი საწარმოების მუშაობისადმი კონტროლის გაძლიერების შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტმა თავისი დადგენილებით ამიერკავკასიის რკინიგზას, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მოსთხოვა აღმოფხვრან აღნიშნული ნაკლოვანებანი და დაამყარონ სახელმწიფოებრივი წესრიგი რკინიგზის ვაგონების გამოყენებაში, უზრუნველყონ მათი ბრუნვის დაჩქარება. ამისათვის ჩამოთვლილი ორგანიზაციები მოვალენი არიან განიხილონ და გადაწყვიტონ შემდეგი საკითხები: გაერთიანებულ მეურნეობათა შექმნა საწარმოთა და მშენებლობათა არსებული სატრანსპორტო საამქროების ბაზაზე; სადგურთა, საწარმოთა, მშენებლობათა მუშაობის ორგანიზაცია ერთიანი ტექნოლოგიით, ამასთან ტექნიკურ საშუალებათა კოოპერირებულად გამოყენება; ჩვენი ქვეყნის მოწინავე სადგურთა, საწარმოთა და მშენებლობათა გამოცდილების ფართოდ დანერგვა; ვაგონების გაცდენის შემცირებისათვის კონკრეტულ ღონისძიებათა, განხორციელება, ამასთან ტვირთების გადაზიდვის ორგანიზაციის ყველაზე მიზანშეწონილი ფორმების გამოყენება.

კომიტეტმა წინადადება მისცა ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობას, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსა და მშენებლობის სამინისტროს განიხილონ კომიტეტის მიერ ჩატარებული შემოწმების მასალები და მიიღონ სასტიკი ზომები კონკრეტულ დამნაშავეთა წინააღმდეგ, რომლებმაც დაუშვეს ვაგონების ზენორმატიული გაცდენა.

იმისათვის, რომ სადგურების მუშაობის ჯეროვანი ორგანიზაცია ვერ უზრუნველყვეს, რამაც გამოიწვია რკინიგზის ვაგონების მნიშვნელოვნად მეტი გაცდენა სადგურების ლიანდაგებზე, საყვედური გამოეცხადათ თბილისის და რუსთავის სატვირთო სადგურების უფროსებს გ. შეყრილაძესა და გ. ძნელაძეს.

იმისათვის, რომ დაუშვეს რკინიგზის ვაგონების ზენორმატიული გაცდენა, რაც სახალხო მეურნეობას ზიანს აყენებს, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტის მმართველს მ. უსტიაშვილსა და № 1 წისქვილკომბინატის დირექტორს ტ. წულუკიძეს დაეწერათ ფულადი დანარიცხი თითოთვის ხელფასის ოდენობით, ხოლო რუსთავის ქიმიური კომბინატის დირექტორის მოადგილეს ნ. ნონიკაშვილს — ორი კვირის ხელფასის ოდენობით.

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისისა და სამტრედიის განყოფილებების უფროსებს დ. ბერიძესა და დ. ვარდოსანიძეს მიეთითათ, რომ მათ გადამწყვეტი ზომები არ მიიღეს სადგურებში და მისადგომ ლიანდაგებზე ვაგონების ზედმეტად გაცდენის ფაქტების აღმოსაფხვრელად. კომიტეტმა მათ დაავალა გადასცენ პროკურატურას მასალები იმ პირების პასუხისგებაში მისაცემად, რომლებიც სისტემატურად უშვებდნენ ვაგონების ზედმეტად გაცდენას.

კომიტეტმა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორის ო. სულაძის, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის დირექტორის შ. კიკნაძისა და რუსთავის ქიმკომბინატის დირექტორის ნ. ხოფერიას ყურადღება მიაპყრო იმას, რომ იმ საწარმოებში, რომლებსაც ისინი ხელმძღვანელობენ, ადგილი აქვს ვაგონების მნიშვნელოვან ზენორმატიულ გაცდენას, და მოსთხოვა მათ ძირეულად გააუმჯობესონ სატრანსპორტო საამქროების მუშაობისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი რკინიგზის ვაგონების ზედმეტად გაცდენის ფაქტების აღმოფხვრის მიზნით.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ადგილობრივ კომიტეტებს დაევალათ გააძლიერონ ხელშემწყობი ჯგუფების აქტივობა დატვირთვა-გადმოტვირთვის საშუალებათა გამოყენების გასაუმჯობესებლად, რკინიგზის სადგურებისა და საწარმოების შეთანხმებული მუშაობის უზრუნველსაყოფად და რკინიგზის ვაგონების დროულად დატვირთვისა და გადმოტვირთვისადმი კონტროლის გასაძლიერებლად.

## მკითხველთა წერილები მხატვრის კომენტარებით



მოგეხსენებათ, ძილი ბუნებრივი ფიზიოლოგიური მოვლენაა და ყველასათვის ცნობილია მისი სარგებლობა ორგანიზმისათვის. მაგრამ არის შემთხვევა, როცა ძილი თვეობით და წლობითაც კი გრძელდება. ეს უკვე ავადმყოფობაა და მას საღათას ძილი ჰქვია.

საკვირველია, რა საბუთით ამტკიცებს მედიცინა, ამ ავადმყოფობით მხოლოდ ადამიანები ავადდებიანო. ჩვენ გვინახავს ამ სენით დაავადებული სახლებიც. მაგალითად, კაცხის (ჭიათურა) კულტურის სახლს აგერ უკვე მეხუთე წელია სძინავს ლეთარგიული ძილით. სძინავს და ესიზმრება, თითქოს საჩხერის საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობამ (უფროსი კ. თურმანიძე) უკვე მოათავა სარემონტო სამუშაოები, დარბაზი გაიჭედა მაყურებლებით, უჩვენებენ კინოსურათებს, წარმოდგენებს, იმართება კონცერტები.

ხალხი კი მოუთმენლად ელის კულტურის სახლის გაღვიძებას და ნატრობს, ნეტავ კეთილად აუხდეს სიზმარი.

შ. ბრეგვაძე,
კაცხის კულტსახლის დირექტორი.



არ ვიცი, როგორ გამოიყურებოდნენ ჩვენი შორეული წინაპრები იმ უძველეს დროს, როცა პირველად ისწავლეს ცეცხლის დანთება. მაგრამ არა მგონია, უფრო გამურულ-გარუჯული ყოფილიყვნენ, ვიდრე ტყიბულქვანახშირის ტრესტის დასავლეთის შახტის ადმინისტრაციულ შენობაში გახსნილი მუშათა სასადილოს მომხმარებლები არიან.

ჩვენმა წინაპრებმა მალე აუღეს ცეცხლს ალღო და მიხვდნენ, რომ სითბოს გარდა იგი კვამლსა და ნაცარს გამოყოფს. ამიტომაც გამოიგონეს ბუხრები, ღუმელები და საკვამურები. დასავლეთის შახტის ადმინისტრაციამ კი დაივიწყა ცეცხლის ეს თვისება, სანაცრეებს პირდაპირ სასადილოსაკენ უქნა პირი და დღენიადაგ ნაცრის ბუღით ივსება აქაურობა.

გ. ბაბაძაძე,
დასავლეთის შახტის მეექვსე უბნის გამყვანი.

მხატვარი ი. ქოქიაშვილი.

# მიწისქვეშა გარაჟი

### ვუბრუნდებით დაბეჭდილს

გაზეთ „კომუნისტის" 27 ნოემბრის ნომრის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის გვერდზე გამოქვეყნებულ წერილს „ისევ ბავშვები და გარაჟები" ფართოდ გამოეხმაურნენ და ბევრი საგულისხმო და საზრიანი წინადადება შემოიტანეს მკითხველებმა.

ბუნებრივია, რომ მშრომელთა მატერიალური უზრუნველყოფის განუხრელად ზრდასთან დაკავშირებით ჩვენ ქალაქში მატულობს ავტომანქანების რაოდენობა, ასე რომ ეზოები და გარაჟები ჯერ კიდევ დიდხანს იქნება სალაპარაკო საგანი. ამიტომ ყველა წინადადებას, რომელიც იცავს როგორც მანქანის მფლობელთა, ისე ეზოს მცხოვრებთა ინტერესებს, გულისხმიერად უნდა გამოვეხმაუროთ. სრულიად არ არის საჭირო მოვდგეთ და ყველაფერი დავანგრიოთ, უნდა დაინგრეს მხოლოდ უნებართვო ნაგებობა, რომელიც ხელს უშლის ეზოს.

„პატივცემულო რედაქცია, — წერენ ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე № 10-ში მცხოვრებთა სახელით „სოიუზდორპროექტის" ინჟინრები რ. კოდუა და კ. შაიშმელაშვილი, თბილისის საბჭოს კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს ინჟინერი ა. ზიზიბაძე, — 1964 წლის 27 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „ისევ ბავშვები და გარაჟები" სამართლიანად იყო დაყენებული საკითხი ეზოებში გარაჟების აღებისა და ბავშვებისათვის კეთილმოწყობილი ეზოების შექმნის შესახებ.

ამ წერილში მოხსენებული იყო ჩვენს ეზოში არსებული გარაჟებიც. ჩვენ ვიზიარებთ წერილში გამოთქმულ აზრს. გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ ეზოში ძირითადად ინჟინრები ვცხოვრობთ, საპროექტო ინსტიტუტის თანამშრომლები. ვეხმაურებით ამ წერილს და გვსურს წამოვაყენოთ ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით".

წერილის ავტორები აყენებენ წინადადებას მოეწყოს მიწისქვეშა გარაჟი. ასეთ შემთხვევაში ეზოს არავითარი ზიანი არ მოუვა. ან გარაჟების თავზე მოეწყოს ბანი, რომელიც შემოკავდება ლითონის ბადით, და ეს ბანიანი გარაჟები ბავშვთა სათამაშო მოედანი იქნება.

მიწისქვეშა გარაჟების იდეა, მათი აზრით, ბევრად შეუწყობს ხელს ეზოების კეთილმოწყობას.

წითელი პარტიზანების ქ. № 36/40 სახლის მცხოვრები მოქალაქე ვ. ცინდელიანი იწერება, რომ მათი კოოპერაციული სახლის სარდაფებში შეიძლება მანქანების დაყენება, მაგრამ მეზობელი სახლის მცხოვრებლებმა დაგვიშალეს, დიდი ამბავი ატყდა და ახლა მანქანები ეზოში გვიდგას. თუ მანქანის ამ მფლობელებს მეზობლების ხარჯზე უნდათ გზა და კეთილმოწყობა, ეს შეუძლებელია, მაგრამ თუ ეს ხელს არავის უშლის, მაშინ რა არის ამაში ცუდი? რატომ არ უნდა იდგნენ მანქანები სარდაფში?

ყველა ადამიანი კეთილი და მოსახერხებელი ხაერთო ცხოვრების პრინციპიდან უნდა გამოდიოდეს.

# რას იტყვით, მშენებლებო?

ჩვენს საბჭოთა მეურნეობებში სხვა ღონისძიებებთან ერთად სერიოზული ყურადღება ექცევა მერძეული პირუტყვისათვის კეთილმოწყობილი ბინების მშენებლობას. ამ მხრივ უკანასკნელ წლებში გარდაბნის რაიონის ყველა საბჭოთა მეურნეობაში მთელი რიგი სამუშაოები შესრულდა. კერძოდ მარტყოფის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში აშენდა 600 სულის ტევადობის საძროხე.

საძროხეების მშენებლობას პროექტის მიხედვით აწარმოებს „საქსოფლმშენი". ერთი შეხედვით კაცს ეგონება, ეს საკითხი მოგვარებულიაო, მაგრამ ასე როდია.

სრულფასოვან და ხაექსპლოატაციოდ გადაცემულ მშენებლობად ითვლება საძროხე, რომელსაც პირუტყვის ძირითად სადგომთან ერთად აქვს სახბორე, გაკეთებულია მისასვლელი გზა, უზრუნველყოფილია წყლით, ელექტროგანათებით, აქვს მექანიზებული დანადგარები და მწველავთა საცხოვრებელი ბინები.

სამწუხაროდ, ამ სამუშაოებს საპროექტო ორგანიზაციები ივიწყებენ. მიუხედავად საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა დაბეჯითებითი მოთხოვნისა, რატომღაც ეს საკითხი დღემდე არ მოგვარდა, რაც მეძროხეობის ფერმებში მომუშავე მწველავებისა და სპეციალისტების კანონიერ უკმაყოფილებას იწვევს.

ვფიქრობთ ამ საქმით დაინტერესდება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრო. საპროექტო ორგანიზაციებმა მიმდინარე წლიდან უნდა გაითვალისწინონ მხოლოდ სრულფასოვანი საძროხეების მშენებლობა. საჭიროდ მიგვაჩნია „საქსოფლმშენმა" პირველ რიგში აწარმოოს იმ ობიექტების დამატებითი მშენებლობა, რომლებსაც იგი უკანასკნელი 2-3 წლის განმავლობაში აშენებდა, შემდგომში კი აწარმოოს მხოლოდ სრულფასოვანი საძროხეების მშენებლობა.

ა. გონაშვილი,
გარდაბნის რაიონის მარტყოფის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

## კარგი თაოსნობა

ჭიათურა. (საკ. კორ.). კარგი თაოსნობა გამოიჩინა პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ჭიათურის საქალაქო კომიტეტმა, აქტივის სწავლებისათვის ერთწლიანი სკოლა რომ შექმნა. სკოლაში გაერთიანებული არიან კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფების თავმჯდომარეები, შტატგარეშე განყოფილებათა გამგეები და ინსპექტორები. უკვე გაიმართა პირველი მეცადინეობები.

სახალხო კონტროლიორების სწავლებისათვის ერთწლიანი სკოლები ეწყობა მსხვილ საწარმო-დაწესებულებებში და მშენებლობებზე.

### კონტროლის ადგილობრივ კომიტეტებში

## ასე აღიკვეთა წუნი

სახალხო კონტროლიორებმა დაადგინეს, რომ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თბილისის № 2 მექანიკურ ქარხანაში დაბალხარისხოვანი მზა ნაწარმის გამოშვების შემთხვევები იყო. მუშები ნაკლებ პასუხისმგებლობას გრძნობდნენ სამუშაოთა შესრულების ხარისხისათვის. ამას ხელს უწყობდა წუნის წარმოშობის აღრიცხვის მოუგვარებლობა, წუნისმქმნელთა გამოვლინებისადმი უყურადღებობა.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის თბილისის ოქტომბრის რაიონულმა კომიტეტმა თვენახევრის წინათ თავის სხდომაზე განიხილა ამ შემოწმების მასალები და დასახა ღონისძიებანი, რომლებითაც გათვალისწინებული იყო პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის წარმოების მუშაკთა პასუხისმგებლობის გაძლიერება, მთელი რიგი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების განხორციელება.

ამ დადგენილების სრეალიზაციოდ ქარხნის ადმინისტრაციის, პარტორგანიზაციისა და პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის მიერ გადადგმულ პრაქტიკულ ნაბიჯებს სასურველი შედეგი მოჰყვა. პროდუქციის ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. თუ გასული წლის ივლისიდან სექტემბრამდე ქარხანამ რეკლამაციებისათვის 1.238 მანეთი ჯარიმა გადაიხადა, ნოემბერ-დეკემბერში აქ რეკლამაციებს ადგილი აღარ ჰქონია.

## შეჯიბრების სათავეში

როგორ მონაწილეობენ ფოთის ჰიდრომექანიზმების ქარხნის სახალხო კონტროლიორები საწარმოს მიერ სოციალისტური შეჯიბრების ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში — ეს საკითხი განიხილა პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ფოთის საქალაქო კომიტეტმა თავის ამასწინანდელ სხდომაზე.

აღინიშნა, რომ შარშან ქარხნის კოლექტივმა შესამჩნევად გააუმჯობესა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები; ჯერ კიდევ 25 დეკემბრისათვის შეასრულა პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება, ამასთან გეგმის გადამეტებით გამოუშვა 46 ათასი მანეთის მანქანები. საწარმოში მნიშვნელოვნად ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა თვითღირებულება.

ყველა ამ წარმატებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის წევრებმა, რომლებიც ღრმად წვდებიან საწარმოს ცხოვრების ყველა მხარეს.

სხდომაზე ითქვა ისიც, რომ ხელშემწყობი ჯგუფის ყველა წევრი როდი აქტიობს, ისინი ჯერ კიდევ სუსტად იბრძვიან მუშათა საწარმოო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

კომიტეტმა ხელშემწყობ ჯგუფს დაუსახა ღონისძიებანი შემდგომი მუშაობის გასაძლიერებლად.

# ვინ იპარავს და ვისა რცხვენია

ჩვენს დედაქალაქში ფართო გაქანება მიიღო სახალხო მოძრაობამ დევიზით: „გადავაქციოთ თბილისი სანიმუშო წესრიგისა და მაღალი კულტურის ქალაქად". ამასთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის" რედაქციაში მშრომელთა ასობით წერილი შემოდის. მათი ავტორები გვიამბობენ, თუ რას აკეთებენ ისინი მშობლიური ქალაქის სიკეთისა და სილამაზისათვის, გვთავაზობენ საინტერესო წინადადებებს, მოგვითხრობენ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებზე, ამხილებენ კონკრეტულ დამნაშავეებს.

დიასახლისმა გაიანე ხაბეიშვილმა მოგვწერა:

„ამჟამად თბილისის მაღაზიებში 72-პროცენტიანი თეთრი პური ცალობით იყიდება. ჩემის აზრით, ეს კარგია, უფრო სასარგებლო და მოსახერხებელია მომხმარებლისათვის. მაგრამ, როგორც ჩანს, ამ გარემოებას დახლის ზოგი მუშაკი ბოროტად იყენებს. რამდენიმე თვეა კილოგრამიან თეთრ პურს 30 კაპიკად ვყიდულობ. დიდხანს მისი ნამდვილი ფასი არც კი ვიცოდი, მერე გავიგე, რომ 28 კაპიკი ღირს. ბოლო დროს მაღაზიებშიც გამოაკრეს ფასის აღმნიშვნელი წარწერები, თუმცა ამით არაფერი არ შეცვლილა, კვლავ 30 კაპიკს გვახდევინებენ. ხურდას მხოლოდ იმ შემთხვევაში გვიბრუნებენ, თუ მოვთხოვთ. ორი კაპიკის გამო გამყიდველისათვის მუდამ ხვეწნა ბოლოს და ბოლოს მომბეზრდა და იძულებული ვარ 30 კაპიკი გადავიხადო.

იქნებ ვცდები, იქნებ არც ღირდეს კაპიკებზე ლაპარაკი".

არა, თქვენ არ ცდებით, პატივცემულო გაიანე, კაპიკზე ლაპარაკი ნამდვილად ღირს. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ თქვენ მიერ მოყ-

### რატომ არ ვიცით კაპიკის ყადრი?

ვანილი ფაქტი ლაპარაკობს ვაჭრობის მუშაკების დანაშაულზე. მეორეც, ის ორი კაპიკი, თქვენ რომ დაგაკლეს, პურის საერთო ღირებულების 7 პროცენტზე მეტია და თუ სისტემატურად ზედმეტს გადაგახდევინებენ პირველი მოხმარების ისეთ საგნებში, როგორიც პურია, ეს საგრძნობ გავლენას მოახდენს თქვენი ოჯახის ბიუჯეტზე.

სამწუხაროდ, მოქალაქე გ. ხაბეიშვილის მიერ მოყვანილი ფაქტი გამონაკლისი არ არის. შემოწმებამ დაგვანახვა, რომ თბილპურვაჭრობის ბევრ მაღაზიაში მართლაც უხეშად არღვევენ ვაჭრობის წესებს, 28-კაპიკიანი პური ბევრ მაღაზიაში ხშირად 30 კაპიკად იყიდება.

თბილპურვაჭრობის № 165 მაღაზია (გამგე მ. პეტროსიანი) ავჭალის გზატკეცილზე მდებარეობს. მისი მომხმარებლები მეტწილად მუშები არიან. აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ჟაკარდული წარმოების ინსტრუქტორმა მ. იმერლიშვილმა შემოგვჩივლა, რომ აღნიშნულ მაღაზიაში 72-პროცენტიან თეთრ პურს სისტემატურად 30 კაპიკად ჰყიდიან. შემოწმებამ სავსებით დაადასტურა მისი განცხადება. გამყიდველმა ვ. იარაჯულმა მოქალაქეებს მ. ცხმისტრუკსა და ტ. პოდგორნაიას ჩვენს თვალწინ 28 კაპიკის ნაცვლად 30 კაპიკი გადაახდევინა თითო ცალ პურში.

გრიზოდუბოვას ქუჩაზე მცხოვრები ექთანი მ. წვერიკმაზაშვილი და დიასახლისი ნ. ზექალაშვილი, აგრეთვე პენსიონერი თ. მოწონელიძე, რომელიც თელიას ქუჩაზე ცხოვრობს, პურს მუდამ თბილპურვაჭრობის № 26 მაღაზიაში ყიდულობენ, თუმცა № 16 მაღაზია მათი საცხოვრებელი ადგილიდან გაცილებით ახლოა.

### „კომუნისტის" რეიდი

— რა ვქნათ, გვირჩევნია შორი გზა გავიაროთ, — გვითხრეს მათ, — სადაც უკეთ გვემსახურებიან, იქ მივდივართ.

მართლაც, შეუძლებელია მომხმარებელი № 16 მაღაზიის კმაყოფილი იყოს. შემოწმების დღეს გამგე-გამყიდველი ვ. ასათიანი მაღაზიაში არ იყო. მის ნაცვლად პროდუქტებს ჰყიდდა პურის მიმღები თ. ქორიძე. მან მოსწავლე ზ. მელაშვილს ერთ ცალ პურში ორი კაპიკი დააკლო. სასწორიც არასწორად იყო დაყენებული. იგი 10 გრამ განსხვავებას იძლეოდა მომხმარებლის საზარალოდ.

როგორც ჩანს, მომხმარებლის მოტყუება წესად აქვთ ლისის ქუჩაზე მდებარე თბილპურვაჭრობის № 187 მაღაზიაში, სადაც გამგედ მ. ქიქიაშვილი მუშაობს. გამყიდველმა ზ. თაბუევმა მოსწავლე დ. მაჭარაშვილს ჩვენი თანდასწრებით ორ ცალ პურში 4 კაპიკი დააკლო. ბავშვმა მანეთიანი მისცა და ორმოცი კაპიკი ხურდა დაუბრუნა. მიუხედავად ამისა, გამყიდველი გვიმტკიცებდა, ხურდა ზუსტად მივეციო. დაბნეულ ბიჭუნას კი 40 კაპიკი ეჭირა მუჭაში და სხვა ფული მას საერთოდ არც ჰქონდა.

თბილპურვაჭრობის № 93 მაღაზიის (ლერმონტოვის ქ. № 22) გამგე დ. უჩავა შემოწმების დროს თვითონ იდგა დახლში და პურს ჰყიდდა. ჩვენ მას იმ მომენტში შევესწარით, როდესაც მოსწავლე რ. ბაგრამიანს ორი კაპიკი დააკლო. მაღაზიის გამგემ მტკიცება დაიწყო, ეს ორი კაპიკი ამ ბავშვის დედას ემართა ჩემიო (!). ამის თქმა მან ალბათ იმიტომ გაბედა, რომ თუ საქმე საქმეზე მიდგება, იმედი აქვს ბავშვის დედა ცრუ მოწმედ დაუდგება. ჩვენ არ ვიცით, ამ შემთხვევაში როგორ მოიქცევა რ. ბაგრამიანის მშობელი, ერთი კი ცხადია: ზოგი მომხმარებელი მართლაც არათუ არ ეხმარება საზოგადოებრიობას ვაჭრობის წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლაში, პირიქით, სრულიად გაუმართლებელი და უადგილო გამოსარჩლებით ხელს უწყობს, ათამამებს ვაჭრობის მუშაკებს დანაშაულის ჩადენაში. მაგალითად, № 141 მაღაზიაში ერთ-ერთ მოქალაქეს ოთხი კაპიკი დააკლეს. მან თვითონვე განაცხადა, რომ ორ ცალ პურში 60 კაპიკი მისცა და არც კი იცოდა, რომ 72-პროცენტიანი პური კილოგრამი 28 კაპიკი ღირს და არა 30, რადგან იგი ყოველთვის 30 კაპიკს იხდის. მაგრამ როგორც კი გაერკვა საქმის ვითარებაში და დარწმუნდა, რომ აქ ვაჭრობის წესების დარღვევა იყო, გულმოწყალება გამოიჩინა და მაღაზიის მუშაკების დაცვის მიზნით უარყო თავისი პირვანდელი განცხადება, დაიწყო მტკიცება, ხურდა სწორად დამიბრუნესო. მან თავის გვარიც კი არ გვითხრა. თავის მხრივ მაღაზიის გამგე ს. დოულათიანი აიძულებდა მოქალაქეს სიმართლე არ ეთქვა და ყოველნაირად ცდილობდა მისი ვინაობა არ გაგვეგო.

ასეთ ადამიანებს, როგორც ჩანს, არაფრად არ უღირთ კაპიკი, და ძნელი მისახვედრი არ არის, რატომ იჩენენ ასეთ ხელგაშლილობასა და გულუხვობას. ვინც პატიოსანი შრომით ცხოვრობს, მან კარგად იცის კაპიკის ყადრი, ხოლო ფულს იოლად ის ფლანგავს, ვინც იოლადვე შოულობს.

თუმცა ხშირად ხდება ისე, როგორც ეს გ. ხაბეიშვილის მიერ რედაქციის სახელზე გამოგზავნილ ზემოთ მოყვანილ წერილშია აღნიშნული. ნაცვლად იმისა, რომ გამყიდველი წითლდებოდეს სირცხვილით ამ მართლაც სათაკილო „წვრილმანი ქურდობისათვის", თვით მომხმარებელს ერიდება მოითხოვოს კუთვნილი ხურდა. № 60 მაღაზიაში (გამგე მ. ჭუმბურიძე) ჩვენ მოწმე ვიყავით, თუ რა გაუბედავად და მორცხვად სთხოვდა დიასახლისი გ. ამირაგოვა გამყიდველ ა. მაციაშვილს ხურდას. „ოთხი კაპიკი, თუ შეიძლება", — უთხრა მან ჩუმად და მგონი შეეშინდა კიდეც, რომ დამცინავი ღიმილით არ გამასპინძლებოდნენ.

მარჯანიშვილის ქუჩაზე არის პურისა და პურის ნაწარმის დიდი მაღაზია № 42. გამგის კაბინეტში შესვლისას თვალში მოგვხვდა კედელზე გაკრული სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულება, რომელსაც ხელს აწერს ამ სავაჭრო დაწესებულების ყველა მუშაკი: გამგე გ. დადიანი, გამყიდველები ვ. ელბაქიძე, ი. ნანობაშვილი და სხვ. ვალდებულების ერთ-ერთ პუნქტში მაღაზიის კოლექტივს ნათლად და გარკვევით ჩაუწერია: „არ დავუშვებთ მომხმარებლის წონაში ან ხურდაში მოტყუების არც ერთ შემთხვევას. როგორც წესი, მომხმარებელს ჯერ მივცემთ კუთვნილ ხურდას, მერე კი საქონელს".

ამ სტრიქონებს, როგორც ვთქვით, გამყიდველი ი. ნანობაშვილიც აწერს ხელს. ასეთი ვალდებულების აღება კურიოზია. მაგრამ უარესია ის, რომ იგი ამ დაპირებისა და ვალდებულების საწინააღმდეგოდ იქცევა. ორ ცალ პურში მან 60 კაპიკი გადაგვახდევინა: მანეთიანი მივეცით და 40 კაპიკი ხურდა დაგვიბრუნა, ხოლო როცა პურის ფასი შევახსენეთ და ხურდა მოვთხოვეთ, ირონიულად ჩაიღიმა და დაფაცურდა. ოთხი კაპიკი მეზობელ სექციაში „იშოვნა" და მოგვიტანა. ჩანს, იმდენად შეჩვეულია ფასების „დამრგვალებას", რომ ხურდა ფული არც კი აღმოაჩნდა. არც სჭირდება.

ფაქტები მოწმობენ, რომ პურის ფასის დამახინჯება ჩვეულებრივი მოვლენაა № 45 მაღაზიაში (გამგე ლ. ლაშხია). შემოწმების დროს აქ დახლში უხალათოდ იდგა მუშა(!) ფ. არუთინოვი. და გამყიდველის ვ. ნაუმენკოს ჩვეულებას არც ის ღალატობდა, პურში 28 კაპიკის ნაცვლად 30 კაპიკს ახდევინებდა.

პურის ფასს ასევე უხეშად ამახინჯებენ და მომხმარებელს უსირცხვილოდ ატყუებენ № 32 (გამგე ა. პეტროსოვი), № 136 (გამგე რ. თუმანიშვილი), № 143 (გამგე ი. არუთინოვი) და ბევრ სხვა მაღაზიაში.

ნუ თუ ამ დარღვევებისა და დამახინჯების შესახებ არაფერი იციან თბილპურვაჭრობის დირექციაში.

არა გვგონია, რომ არ იცოდნენ. პურის ფასების დამახინჯება ამ ბოლო დროს ისე მასობრივ მოვლენად იქცა, შეუძლებელია მათ ყურამდეც არ მიეღწია სიგნალებს. თუ ჩვენ ქალაქში მხოლოდ ერთხელ გავლით ამდენ ფაქტს წავაწყდით, ნუ თუ თბილპურვაჭრობის მუშაკები ვერ ხედავენ ამას?

უნდა ვაღიაროთ: იმაში, რომ ჩვენ ქალაქში ადგილი აქვს ასეთ ფაქტებს, მარტო ვაჭრობის დარგის მუშაკები როდი არიან დამნაშავენი, დამნაშავეა თვით მომხმარებელიც. ზოგი თავის „ხელგაშლილობითა" და „გულუხვობით" პირდაპირ უბიძგებს, აქეზებს მომსახურე პერსონალს არაკეთილსინდისიერებისაკენ, ზოგს რცხვენია მოითხოვოს ხურდა.

არა, ხურდასა და კაპიკებზე ლაპარაკი სირცხვილი არ არის. სირცხვილია ამ კაპიკების მითვისება, წაგლეჯა. ეს კარგად იციან თვით ამ წამგლეჯებმაც. მათ ისიც იციან, რომ კაპიკებისაგან შედგება მანეთები და კაპიკ-კაპიკ შეიძლება ჯიბე კიდეც გაგისქელდეს და კიდეც გაგითხელდეს. ვინც დღეში ასობით და ათასობით კილოგრამ პურს ჰყიდის, მისთვის ორ-ორი კაპიკი მცირე სარგებელი როდია.

საქმე მარტო პურს რომ ეხებოდეს, ეს იქნებ იმდენად არც დასტყობოდა ოჯახის ბიუჯეტს, მაგრამ თბილისელი მოქალაქეები, განსაკუთრებით დიასახლისები, საყვედურს გამოთქვამენ, რომ ზედმეტი კაპიკები ეხარჯებათ ყოველ ნაბიჯზე — მაღაზიაში, ტრანსპორტზე, ბაზარში. ქაღალდის პარკი რა არის, იმაშიც კი ზედმეტს გვახდევინებენო.

ჩვენ მეტ სიმკაცრესა და შეურიგებლობას უნდა ვიჩენდეთ დარღვევისა და დამახინჯების ყოველი ფაქტისადმი.

თუ თქვენ, როგორც მომხმარებელი, მართლაც პატივისცემით ეპყრობით ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების რომელიმე მუშაკს და გსურთ მადლიერება გამოხატოთ მის მიმართ, რატომ გგონიათ, რომ აუცილებელია ორიოდე გროში დაუტოვოთ მას? ნუთუ არ დაფიქრებულხართ იმაზე, რომ თუ ის მართლაც კულტურული და პატივსაცემი ადამიანია, თქვენს საჩუქარს შეურაცხყოფად მიიღებს, ხოლო თუ უსირცხვილო და წამგლეჯია, რატომ ათამამებთ, რატომ აჩვევთ ასეთ უსინდისობას?!

ამაზე უნდა დაფიქრდეს ყოველი ჩვენგანი. მაშინ მას სასირცხვოდ არ მოეჩვენება მოითხოვოს ხურდა, თუნდაც ის ორიოდე კაპიკი იყოს.

ვ. პაპინაშვილი — თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, კ. ღლონტი — დიასახლისი, ბ. ჯობავა — საქართველოს სავაჭრო პალატის სასაქონლო ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტი, ზ. ჯამასპიშვილი, გ. ბახტურიძე, მ. მიქაძე — გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის მუშაკები.

გორის ბამბეულის კომბინატის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარე ნ. ჯანეზაშვილი (მარცხნიდან პირველი), ჯგუფის წევრები — წუნმდებელი ლ. აპრიამაშვილი და სასწორმებლო საამქროს უფროსი ზ. სახვაძე ამოწმებენ კომბინატის მიერ გამოშვებულ პროდუქციას.

ფოტო შ. კუკულავასი.



საერთაშორისო ცხოვრება

# მსოფლიო ამ დღეებში

## მეგობრული ურთიერთობა

ბამაკო, 13 იანვარი. (საკდესი). [illegible] რათა დაეხმაროს ყველა ქვეყანას კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მალის გაზეთი „ესორი", რომელიც დღეს დაწვრილებით აქვეყნებს ანგარიშს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მოგზაურობის შესახებ მალიში, აღნიშნავს, რომ თავის გამოსვლაში ტიმბუქტუში მაჰამან ა. ჰაიდარამ ხაზი გაუსვა აგრეთვე, რომ სსრ კავშირისა და მალის ურთიერთობას საფუძვლად უდევს საერთო სურვილი იშრომონ ორივე ქვეყნის ხალხთა კეთილდღეობისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის.

საპასუხო გამოსვლაში საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა შ. რ. რაშიდოვმა ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და პარტია სუდანის კავშირი ერთად იბრძვიან იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ, მსოფლიოს ყველა ხალხის კეთილდღეობისათვის, და მადლობა გადაუხადა გულთბილი შეხვედრის გამო, რაც საბჭოთა სტუმრებს მოუწყვეს მალიში.

## ვიზიტი დამთავრდა

ვაშინგტონი, 14 იანვარი. (საკდესი). დამთავრდა იაპონიის პრემიერ-მინისტრის ე სატოს ორი დღის ოფიციალური ვიზიტი ვაშინგტონში. აქ სატომ მოლაპარაკება გამართა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ლ. ჯონსონთან და სახელმწიფო მდივან რასკთან. როგორც ორივე მხარემ განაცხადა, მოლაპარაკება „ერთობ ნაყოფიერი" იყო.

ერთობლივ კომუნიკეში ლ. ჯონსონი და ე. სატო აცხადებენ, რომ ორივე ქვეყანას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი „ჰქონდეთ უაღრესად მჭიდრო კონტაქტები და გამართონ კონსულტაციები არა მარტო ორმხრივი პრობლემების, არამედ აზიისა და მთელი მსოფლიოს პრობლემების თაობაზე".

პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა განაცხადეს, რომ ერთგულად იცავენ ამერიკა-იაპონიის თანამშრომლობისა და უშიშროების ხელშეკრულებას, რომელმაც, როგორც ცნობილია, იაპონია დაუქვემდებარა ამერიკის პოლიტიკას შორეულ აღმოსავლეთში.

ლ. ჯონსონმა და ე. სატომ განიხილეს სამხრეთ-ვიეტნამის პრობლემა, მაგრამ კომუნიკეში ისინი დასჯერდნენ არაფრისმთქმელ განცხადებებს.

თუმცა, როგორც ჩანს, იაპონიის პრემიერ-მინისტრის გამოსვლიდან ვაშინგტონში, მას არ მოუწონებია სამხრეთ ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ჩარევის გაძლიერება.

მოლაპარაკებამ ცხადყო, რომ ვაშინგტონსა და ტოკიოს უთანხმოებანი აქვთ მთელი რიგი სხვა დიდმნიშვნელოვანი პრობლემების გამო. კომუნიკეში, კერძოდ აისახა, რომ ორივე ქვეყანა სხვადასხვანაირად უყურებს საკითხს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ურთიერთობის შესახებ. სატომ, აღნიშნულია კომუნიკეში, განაცხადა, რომ იაპონიის მთავრობას განზრახული აქვს ხელი შეუწყოს ჩინეთთან კერძო კონტაქტების განვითარებას ისეთ საკითხებში, როგორიც არის ვაჭრობა. იაპონიის მთავრობის ასეთი პოზიცია ვაშინგტონის უკმაყოფილებას იწვევს. ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები, მაგალითად, გაჯავრებით მოეკიდნენ სატოს განცხადებას, რომ ამერიკის პოლიტიკა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ „მოუქნელია".

◆

## უენთუზიაზმოდ

ტოკიო, 14 იანვარი. (საკდესი). იაპონელები უენთუზიაზმოდ შეხვდნენ იაპონია-ამერიკის ერთობლივ კომუნიკეს.

პოლიტიკური მიმომხილველები, იუწყება კიოდო ცუსინის სააგენტო, ახალს ვერაფერს ხედავენ კომუნიკეში. კერძოდ, იაპონიისათვის ოკინავას კუნძულების დაბრუნების საკითხზე (კუნძულები ამერიკის კონტროლს არის დაქვემდებარებული) კომუნიკეში არსებითად იგივეა ნათქვამი, რაც თავის დროზე უკვე ნათქვამი იყო ანალოგიურ დოკუმენტებში, რომლებსაც 1957 წელს ხელი მოაწერეს კისიმ და ეიზენჰაუერმა და 1961 წელს იკედამ და კენედიმ.

პრემიერ-მინისტრის მოგზაურობის შედეგები მძაფრად გააკრიტიკეს იაპონიის ოპოზიციურმა პარტიებმა.

## თურქეთი გაემიჯნა

ნიუ-იორკი, 14 იანვარი. (საკდესი). სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის ცნობით, თურქეთმა ოფიციალურად განუცხადა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, რომ აღარ არის დაინტერესებული ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალების შექმნის ღონისძიებებით. ამრიგად ამ ბლოკის კიდევ ერთი წევრი გაემიჯნა გეგმას, რომელიც ფაქტიურად ატომური იარაღისაკენ უხსნის გზას ბონელ რევანშისტებს.

სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ თურქეთის მთავრობის ეს გადაწყვეტილება „ფსიქოლოგიურ ზიანს" აყენებს მრავალმხრივი ატომური ძალების პროექტს.

## სენატორ ჯექსონის განცხადება

ნიუ-იორკი, 14 იანვარი. (საკდესი). გუშინ კონგრესის ატომური ენერგიის სამხედრო მიზნებით გამოყენების ქვეკომისიის დახურულ სხდომაზე მოისმინეს კონგრესის ატომური ენერგიის საკითხთა გაერთიანებული კომისიისა და თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელთა მოხსენებანი, რომ შეერთებული შტატები მზად იქნებიან განაახლონ ატომური იარაღის გამოცდა ატმოსფეროში, თუ სხვა ქვეყნები დაარღვევენ ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ. სხდომის შემდეგ ქვეკომისიის თავმჯდომარემ სენატორმა-დემოკრატმა (ვაშინგტონის შტატი) ჰენრი ჯექსონმა განუცხადა კორესპონდენტებს, რომ, თუ ხელშეკრულება დაირღვა, შეერთებული შტატები მზად იქნებიან დაიწყონ გამოცდა. ჯექსონმა თქვა, რომ ზემოთ აღნიშნულ უწყებათა ოფიციალურმა პირებმა მოახსენეს, რომ შესრულდა ინსტრუქციები, რომლებიც 1963 წელს შეიმუშავა კონგრესმა.

## კიდევ ხუთი ათასი...

ნიუ-იორკი. მექსიკის ყურის ნავსადგურების კიდევ ხუთი ათასი მუშა ჩაება შეერთებული შტატების აღმოსავლეთ სანაპიროს მტვირთავთა გაფიცვაში. ამ გაფიცვაში მონაწილე მტვირთავების რიცხვმა 60 ათასს გად აჭარბა.

## ბოლო მოეღოს რასიზმს!

ლონდონი, 13 იანვარი. (საკდესი). ფაშიზმის ჩვეულ იარაღს — რასიზმს ამჟამად აშკარად მხარს უჭერს კონსერვატიული პარტიის ზოგიერთი წევრი, ნათქვამია განცხადებაში, რომელიც მიიღო დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის აღმასკომმა. დიდი ბრიტანეთის კომპარტიის აღმასკომმა გადაწყვიტა დაიწყოს ინგლისში კამპანია რასიზმის აღმოფხვრისათვის.

ინგლისის სხვადასხვა რაიონში, სადაც არათეთრკანიანი მოსახლეობაა, კონსერვატორები განზრახ აღვივებენ რასობრივ ცრურწმენასა და რასობრივ შუღლს, აღნიშნულია კომპარტიის განცხადებაში. ამით სურთ მიჩქმალონ ინგლისის ეკონომიური და სოციალური სიძნელეები და ის პასუხისმგებლობა, რომელიც მათ აკისრიათ.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ იმ ორ წელიწადში, რომელმაც განვლო მას შემდეგ, რაც კონსერვატორთა პარლამენტმა მიიღო ეგრეთწოდებული „კანონი ერთა თანამეგობრობის ქვეყნებიდან ჩამოსული იმიგრანტების შესახებ", თეთრკანიან იმიგრანტთა შე[illegible]მლობა ინგლისში სამუშაოს მიღების თითქმის მთლიანად კმაყოფილდებოდა, მაგრამ ერთა თანამეგობრობის ქვეყნების არათეთრკანიან მოქალაქეთაგან, ვინც ითხოვდა სამუშაოს, მარტო 47 პროცენტმა მიიღო სამუშაო ინგლისში.

დიდი ბრიტანეთის კომპარტიის აღმასკომმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს ლეიბორისტთა პარლამენტს გააუქმოს „კანონი იმიგრანტების შესახებ", რომელიც კონსერვატორებმა მიიღეს. რეზოლუცია მოითხოვს, რომ იმ რაიონებში, სადაც არის არათეთრკანიანი მოსახლეობა, შეიქმნას რასათშორისი თანამშრომლობის ორგანიზაციები და აგრეთვე მხარი დაუჭირონ ყველა იმ ორგანიზაციას, რომელიც მოითხოვს იმიგრანტთა თანასწორუფლებიან მონაწილეობას ინგლისის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

## „სტაბილიზაცია" მშრომელთა ხარჯზე

პარიზი, 13 იანვარი. (საკდესი). საფრანგეთის მთავრობა კვლავ განაგრძობს „ეკონომიური სტაბილიზაციის" პოლიტიკას. ეს ნიშნავს, რომ მთავრობას განზრახული აქვს, ისე როგორც წინათ, გაილაშქროს მშრომელთა ხელფასის მომატების წინააღმდეგ. ასეთი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ცნობებიდან საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს დღევანდელი სხდომის შესახებ.

საფრანგეთის მინისტრთა საბჭომ დღეს ძირითადი ყურადღება დაუთმო ნაციონალიზებული სექტორის მშრომელთა ეკონომიურ მდგომარეობასა და ხელფასის საკითხს.

ამ კატეგორიის მშრომელთა ხელფასის ჩამორჩენა სხვა კატეგორიების მშრომელთა ხელფასის დონესთან შედარებით, ფასების ზრდა, რომელიც გრძელდება, იწვევს მშრომელთა უკმაყოფილებას.

## პრეზიდენტ ჯონსონის წერილი

ვაშინგტონი, 14 იანვარი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა გუშინ კონგრესს გაუგზავნა კიდევ ერთი წერილი — ამჯერად „წერილი იმიგრაციის შესახებ".

ამ წერილში პრეზიდენტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა ცვლილებების შეტანა ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელ საიმიგრაციო კანონებში, რომელთა თანახმად ამერიკის მოქალაქეობის მინიჭებას აწესრიგებს ეგრეთწოდებული ეროვნული კვოტების სისტემა. პრეზიდენტის წინადადებაა ეს სისტემა შეიცვალოს საიმიგრაციო კანონით, რომლის მიხედვით ამერიკის მოქალაქეობის მინიჭებისას გაითვალისწინებენ არა იმიგრანტის ეროვნებას, არამედ მის სამუშაო კვალიფიკაციას და ნათესაურ კავშირს შეერთებული შტატების მოქალაქეებთან.

„უპირატესობა, — ნათქვამია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის წერილში, — მიენიჭება უწინარეს ყოვლისა იმათ, ვისი კვალიფიკაციისა და ცოდნის გამო მიღება (ამერიკის მოქალაქეობის მინიჭება — რედ.) განსაკუთრებით ხელსაყრელია ჩვენი საზოგადოებისათვის". ლ. ჯონსონი აღნიშნავს, რომ ახალი კანონის მიღებას არ „მოჰყვება მნიშვნელოვანი შეცვლა" იმიგრანტთა საერთო რიცხვისა, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოდიან.

## სოციალისტურ ქვეყნებში

△ ვ. ი. ლენინის ნაშრომები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში △ თათბირობენ წარმოების მოწინავე მუშაკები △ ელექტრობა გლეხებისათვის △ დიდი კულტურის ქვეყანა △ კუბა აწარმოებს ტრანსპორტის მოდერნიზებას △ ბულგარეთის უდიდესი ქარხანა.

ბერლინი. ვ. ი. ლენინის უკვდავი ნაწარმოებები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა მაგიდის წიგნად გადაიქცა. ლენინის თხზულებებში პოულობენ ისინი პასუხებს სოციალისტური მშენებლობის ყველაზე არსებით საკითხებზე. განსაკუთრებით დიდი პოპულარობით სარგებლობს მისი ნაშრომების კრებული „პარტიული ცხოვრების ნორმებისა და პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპების შესახებ".

გასულ წელს დამთავრდა ვ. ი. ლენინის თხზულებათა კრებულის გამოცემა. გამოვიდა ლენინის კრებული „როგორ ჩავაბათ მასები სახელმწიფოს მართვაში", ვლადიმერ ილიას-ძის ბიოგრაფია, ვ. ი. ლენინის ნაშრომი „მარქსისა და ენგელსის წერილები". ხელახლა გამოვა ლენინის 22 ცალკეული ნაშრომი და თხზულებათა კრებული დაახლოებით 280 ათასი ცალი საერთო ტირაჟით.

წელს განზრახულია გამოსცენ ილიჩის სტატიებისა და სიტყვების კრებულები, მშვიდობიანი თანაარსებობისა და კომუნისტური მორალის საკითხებზე, აგრეთვე მისი წერილები დედისადმი და ნ. კ. კრუპსკაიას წერილები ლენინისადმი. ლენინის მთელი რიგი ნაშრომები ხელახლა გამოიცემა მასობრივი ტირაჟით.

ბუდაპეშტი. მარტში გაიმართება რესპუბლიკის სოციალისტური შრომის ბრიგადების ხელმძღვანელთა მეორე თათბირი. საწარმოებში, დაწესებულებებში, სახელმწიფო მეურნეობებსა და საწარმოო კოოპერატივებში ფართოდ ემზადებიან უნგრელი მშრომელების ცხოვრების ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენისათვის.

ახლა მარტო მეტალურგიის საწარმოებში სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობს 117 ათასი მუშა, ხოლო სულ სოციალისტური შრომის ბრიგადების მოძრაობაში მონაწილეობას იღებს 600 ათასი კაცი. 19 ათასმა კოლექტივმა უკვე მოიპოვა ეს საპატიო წოდება, კიდევ 35 ათასი ბრიგადა იბრძვის ამისათვის.

ბუქარესტი. შარშან რუმინეთში ელექტროფიცირებული იყო 120 ათასზე მეტი გლეხთა კომლი. ამჟამად რუმინეთში ელექტროენერგიას იღებს 6.500 სოფელი, მანქანა-ტრაქტორთა სადგური და სახელმწიფო სასოფლო მეურნეობა. სამეურნეო მიზნით დენს იყენებს დაახლოებით 600 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. მიმდინარე წელს ელექტრულ სინათლეს მიიღებს ასობით ახალი სოფელი.

ულან-ბატორი. მონღოლეთი, რომელიც წარსულში თითქმის მთლიანად უწიგნური ქვეყანა იყო, ჩვენს დროში დიდი კულტურის, მეცნიერების, განათლების ქვეყნად გადაიქცა. ამჟამად რესპუბლიკის სხვადასხვა სასწავლებელში 178 ათასზე მეტი კაცი სწავლობს. მონღოლეთში მესამე ხუთწლედის მარტო განვლილ ოთხ წელიწადში მომზადებულია უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების 11 ათასზე მეტი სპეციალისტი.

წელს 447 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ისწავლის 156 ათასზე მეტი ბავშვი, თითქმის 21 ათასს მიაღწევს უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების სტუდენტთა რიცხვი. მონღოლეთი მიიღებს 4.400 ექიმს, გეოლოგს, ეკონომისტს, მასწავლებელსა და სხვა სპეციალისტს. მონღოლეთში ყოველ 10 ათას კაც მოსახლეზე ისწავლის 1.776 კაცი, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე მსოფლიოს ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ჰავანა. თავისუფლების კუნძულზე მოიტანეს ელექტროდიზელის ძრავიანი ლოკომოტივების პირველი პარტია, რომელიც კუბის მთავრობამ სსრ კავშირში შეისყიდა.

ახალი ლოკომოტივები დიდ როლს შეასრულებენ კუბის რკინიგზის ტრანსპორტის მოდერნიზაციაში.

სოფია. ქალაქ რუსას მახლობლად დაიწყო საექსპორტო ღვინოების წარმოების უდიდესი ქარხნის მშენებლობა. ყველა საწარმოო პროცესი ქარხანაში მთლიანად ავტომატიზებული იქნება. ქარხნის ყოველწლიური მწარმოებლობაა 20 მილიონი ლიტრი ღვინო. (საკდესი).



●

კანადის ახალგაზრდობა გმობს აპარტეიდის პოლიტიკას, რომელსაც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობა ახორციელებს. კანადის მთელ რიგ დიდ ქალაქებში სტუდენტთა საპროტესტო დემონსტრაციები გაიმართა.

• • •

სურათზე: ოტავის უნივერსიტეტის სტუდენტთა დემონსტრაცია. პლაკატებზე წარწერებია: „სირცხვილი სამხრეთ აფრიკას!", „არ არის სამოქალაქო უფლებები. არის მკვლელობა და არ არის მართლმსაჯულება", „გაერთიანებული ერები უნდა ჩაერიონ და მოსპონ აპარტეიდი".

სურათი ჟურნალ „გლობ მეგეზინიდან".

●

## ამაო ცდები

დასავლეთი ბერლინი, 14 იანვარი. (საკდესი). გუშინ საღამოს დასავლეთ ბერლინის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ერჰარდმა, რომელიც აქ უკანონოდ იმყოფება. მან გასაგებად თქვა, რომ ბონის მთავრობას კვლავ აქვს იმედი „გააერთიანოს" გერმანია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ძალით შთანთქმის გზით. ერჰარდმა განაცხადა: „მიუღებელია" წინადადება, რომ გერმანიის საკითხი მშვიდობიანად მოწესრიგდეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთგაგების მიღწევის გზით.

ერჰარდი ცილისმწამებლურად ამტკიცებდა, რომ არსებობს რაღაც „საბჭოთა მუქარა" დასავლეთ გერმანიის მიმართ. ამასთან ბონის კანცლერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბონი ცდილობს ხელთ იგდოს ატომური იარაღი და განაცხადა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა აპირებს იკისროს „პასუხისმგებლობის ტვირთი დასავლეთის ატომურ თავდაცვაში".

მიტინგზე არაერთხელ გაისმა საპროტესტო შეძახილები ერჰარდის გამოსვლის წინააღმდეგ.

უკვე მესამე დღეა აქ გრძელდება ბონის პარლამენტართა სხდომები, რომლებშიც მონაწილეობს დასავლეთ გერმანიის მინისტრების უმრავლესობა ბონის კანცლერის მეთაურობით. ამ დემონსტრაციული ღონისძიებების მიზანი ის არის, რომ ხაზი გაუსვან ბონის უკანონო პრეტენზიებს დასავლეთ ბერლინის მიმართ. ამავე მიზნით ერჰარდი დღეს აქ მართავს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის „მინისტრთა თათბირს".

## პროვოკაციის მიზნით

დასავლეთ ბერლინი, 13 იანვარი. (საკდესი). დასავლეთ ბერლინში, რომელიც არ შედის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში, დღეს გაიმართა ბონის მთავრობის „მინისტრთა თათბირი", რომელსაც თავმჯდომარეობდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ერჰარდი. თათბირში მონაწილეობდა ბონის კაბინეტის თითქმის ყველა წევრი.

როგორც დპა-ს სააგენტო იუწყება, მინისტრებმა განიხილეს „აქტუალური პოლიტიკური საკითხები", მათ შორის ერჰარდის მომავალი ვიზიტი საფრანგეთში.

ბონის მინისტრთა „თათბირი" შემადგენელი ნაწილია დასავლეთ გერმანიის მმართველი წრეების თავხედური დემონსტრაციისა, რომლებიც იჩემებენ დასავლეთ ბერლინის ტერიტორიას.

## ბრძოლები გრძელდება

პარიზი, 13 იანვარი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის პატრიოტული ძალები კვლავ უტევენ მთავრობის ჯარებს. როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი საიგონიდან იუწყება, ისინი აქტიურად მოქმედებდნენ სამხრეთ ვიეტნამის დედაქალაქის რაიონში და სამხრეთ ვიეტნამის იმ პროვინციებში, რომლებიც მე-17 პარალელს ესაზღვრებიან. ერთი კვირის განმავლობაში — 9 იანვრამდე პარტიზანები 520-ჯერ დაესხნენ თავს მოწინააღმდეგეს. აღნიშნული კვირის მანძილზე მთავრობის ჯარებმა 850 კაცი დაკარგეს, აქედან 230 დახოცილია, 465 — დაჭრილი და 155 კაცი უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

ამ პერიოდში ამერიკელებმა 17 კაცი დაკარგეს: სამი დახოცილია და 14 დაჭრილი.

## მიწისძვრა იაპონიაში

ტოკიო, 14 იანვარი. (საკდესი). მიაგის, ივატესა და ფუკუსიმას პრეფექტურებში დღეს მოხდა მიწისძვრა. ქალაქებში სენდაიში, ისინომაკასა და ოფუნატოში ბიძგების ძალა 8 ბალს შეადგენდა.

მიწისძვრის ეპიცენტრი იყო მიაგის პრეფექტურის ჩრდილოეთ ნაწილში 10 კილომეტრ სიღრმეზე.

## მიმომხილველმა შეცოდა

ბონი, 14 იანვარი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის ერთ-ერთი დიდი გაზეთის „ფრანკფურტერ ალგემაინეს" სამხედრო მიმომხილველს ადელბერტ ვაინშტაინს სასამართლო დევნის საფრთხე მოელის. პრესის ცნობით, დასავლეთ გერმანიის პროკურატურა კარლსრუეში ამჟამად სწავლობს საკითხს, ჩაიდინა თუ არა ვაინშტაინმა „სახელმწიფოს ღალატის აქტი".

საკდესის კომენტატორი ი. ბორისოვი ამის გამო წერს:

ბონიდან მიღებულმა ამ ცნობამ არ შეიძლება გაკვირვება არ გამოიწვიოს. ა. ვაინშტაინი ხომ ერთ-ერთი წამყვანი დასავლეთგერმანელი სამხედრო თეორეტიკოსი და მთავრობის იმ ნახევრად ოფიციოზური ორგანოს მიმომხილველია, როგორადაც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ითვლება გაზეთი „ფრანკფურტერ ალგემაინე". მთელი რიგი წლების მანძილზე იგი გააფთრებით იბრძვის იმისათვის, რომ ბუნდესვერმა ხელში ჩაიგდოს ატომური იარაღი და უყოყმანოდ უჭერს მხარს ბონის მთავრობის ატომურ პრეტენზიებს. ბოლოს, საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ „ფრანკფურტერ ალგემაინეს" სამხედრო მიმომხილველი ცნობილია თავისი მჭიდრო და საიდუმლო კავშირით დასავლეთ გერმანიის სამხედრო სამინისტროსთან და ბუნდესვერის ხელმძღვანელებთან.

მაშ რატომ აბრალებენ ახლა მას „სახელმწიფოს ღალატს"? ეს სულ უბრალოდ აიხსნება. ნატოს საბჭოს უკანასკნელი პარიზის სესიის დროს გასული წლის შუადეკემბერში გაზეთმა „ფრანკფურტერ ალგემაინემ" გამოაქვეყნა თავისი სამხედრო მიმომხილველის ანგარიში, საფრანგეთის დედაქალაქიდან გამოგზავნილ ამ ანგარიშში პირველად იყო მოხსენებული ბონის საზარელი გეგმა — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის საზღვრებზე ატომური ნაღმების სარტყლის შექმნა.

ამ მხეცურმა გეგმამ დიდი პროტესტები გამოიწვია როგორც თვით დასავლეთ გერმანიაში, ისე ბევრ სხვა ქვეყანაში. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას ამან სერიოზული უსიამოვნება მოუტანა. ნებსით თუ უნებლიეთ ვაინშტაინმა წამოაყრანტალა საიდუმლო გეგმები, რომლებიც საფრთხეში აგდებს მილიონობით ადამიანს. ეს დათვური სამსახური მას ვერ აპატიეს ბონში. კარლსრუეში მოუვიდათ მითითება და პროკურატურამ დაიწყო გამოძიება.

ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, რით დამთავრდება იგი. უეჭველია ერთი რამ, ასეთი „წინდაუხედაობა" რომ მოსვლოდა ბონისათვის არა ესოდენ კეთილსაიმედო ჟურნალისტს, როგორიც ვაინშტაინია, არა გვგონია, რომ იგი აქამდე თავისუფლად დაეტოვებინათ. ასე მოუვიდათ ჰამბურგის ჟურნალ „შპიგელის" თანამშრომლებს, რომლებმაც ორი წლის წინათ გამოაქვეყნეს სტატია ატომური მანევრების შესახებ პირობითი სახელწოდებით „ფალექსი". ჟურნალის რედაქციას მაშინ თავს დაესხა პოლიცია, ბევრ მასალას კონფისკაცია უყვეს, ხოლო „შპიგელის" მთელი რიგი ხელმძღვანელი მუშაკები დაატუსაღეს და საპატიმროში ჩასვეს. მათ მოელით სასამართლო პროცესი „სახელმწიფოს ღალატის" ბრალდების გამო.

## საეჭვო მანევრები

ლონდონი, 13 იანვარი. (საკდესი). გუშინ თავდაცვის სამინისტრომ დაადასტურა ცნობები, რომ ინგლისის ბომბდამშენებს ბაზა ექნებათ ჩრდილოეთ ავსტრალიაში.

სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინგლისის ბომბდამშენები წინათაც იგზავნებოდა ავსტრალიაში მანევრებისათვის. ადგილობრივი მეთვალყურენი კი აცხადებენ, რომ ბომბდამშენთა ახლანდელი გაგზავნა ავსტრალიაში ხდება იმ დროს, როცა ინგლისი ადიდებს თავის შეიარაღებულ ძალებს მალაიზიაში.

ავსტრალიის თავდაცვის სამინისტროს ცნობაში ამ საკითხზე აღნიშნული იყო, რომ ინგლისის ბომბდამშენები ავსტრალიაში დარჩებიან „განუსაზღვრელი დროით" და მონაწილეობას მიიღებენ მანევრებში ავსტრალიის სამხედრო-საჰაერო ძალებთან ერთად.

◆

## ბელგიელი მუშები კვლავ იბრძვიან

ბრიუსელი. კვლავ გაფიცულია ბელგიის ნავთობგადასამუშავებელი მრეწველობის ხუთი ათასი მუშა, რომლებიც ხელფასის მომატებას მოითხოვენ. მუშებმა მიიღეს გადაწყვეტილება სათბობით უზრუნველყონ მხოლოდ სამედიცინო დაწესებულებანი და საყოფაცხოვრებო მომსახურების ზოგიერთი საწარმო.

## სამარი მზადება

ლონდონი, 13 იანვარი. (საკდესი). გენერალი ჯეიმს კესელსი, ინგლისის „რაინის არმიის" ყოფილი მთავარსარდალი, კუალა-ლუმპურში დღეს შეხვდა მალაიზიის თავდაცვის მინისტრს აბდულ რაზაკსა და მალაიზიის არმიის გენერალური შტაბის უფროსს ჯ. ოსმანს და განიხილა მათთან მალაიზიაში საომარი მზადების გაძლიერების საკითხები. როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება კუალა-ლუმპურიდან, გენერალი კესელსი, რომელიც მიმდინარე წლის თებერვალში შეუდგება ინგლისის არმიის გენერალური შტაბის უფროსის მოვალეობის შესრულებას, გუშინ ჩავიდა მალაიზიაში 10 დღით. გარდა კესელსისა, ამჟამად მალაიზიაში არიან აგრეთვე ინგლისის არმიის საქმეთა სახელმწიფო მინისტრი ფ. მალი და ინგლისის საზღვაო ქვეითი ჯარის სარდალი გენერალი კარტრაიტ ტეილორი.

ამ დროს კი მალაიზიის თავდაცვის მინისტრმა აბდულ რაზაკმა გამოაცხადა გეგმა, რომ მნიშვნელოვნად ფართოვდება მალაიზიის არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი, რომელიც შეივსება ტორპედიანი კატარღებით.

დღეს ჰონკონგიდან მალაიზიაში გაგზავნეს გურკების რაზმები, რომლებიც შეცვალეს ინგლისიდან ჩასულმა ნაწილებმა. რეიტერის სააგენტო იუწყება აგრეთვე, რომ ინგლისი უახლოეს დროში დარვინში ავსტრალიის ჩრდილოეთით განალაგებს „V" კლასის მძლავრ ბომბდამშენებს. ეს თვითმფრინავები, აღნიშნავს სააგენტო, იქ გაურკვეველი ხნით იქნებიან.

## აჯანყებულთა მამაცობა

ბრაზავილი, 13 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი რ. სერებრენიკოვი გვატყობინებს:

ანგოლის განთავისუფლებისათვის სახალხო მოძრაობა მზად არის განაგრძოს შეიარაღებული ბრძოლა პორტუგალიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ანგოლისა და კაბინდის სრულ განთავისუფლებამდე, განაცხადა აქ საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ინფორმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა და ანგოლის განთავისუფლებისათვის სახალხო მოძრაობის პოლიტბიუროს წევრმა ედუარდო დოს სანტოსმა.

ამჟამად ჩვენი პარტიზანული რაზმები, თქვა მან, მთლიანად კონტროლს უწევენ კაბინდის მაიომბეს ვრცელ ტყეებს. იქ განლაგებული ბაზებიდან ისინი თავს ესხმიან პორტუგალიის ქვედანაყოფებს, რომლებსაც ჯერ კიდევ უკავიათ ამ ქვეყნის სამრეწველო-სავაჭრო ცენტრები.

ჩვენ მნიშვნელოვანი დარტყმები ვაგემეთ პორტუგალიის კოლონიურ არმიას. ამის შედეგად, განაგრძო დოს სანტოსმა, პორტუგალია იძულებული გახდა სასწრაფოდ გადმოეყვანა ანგოლიდან კაბინდაში თავისი ზოგიერთი ქვედანაყოფი. მაგრამ ჩვენმა სამხედრო სარდლობამ ამჟამად მიზნად დაისახა გააძევოს პორტუგალიელი დამსჯელნი კაბინდიდან, რომელიც შემდეგ სამხედრო პლაცდარმი გახდება ანგოლაში შეიარაღებული ბრძოლის კიდევ უფრო ფართოდ გასაჩაღებლად.

შემდეგ დოს სანტოსმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ანგოლის განთავისუფლებისათვის სახალხო მოძრაობის პარტიზანები განაგრძობენ სამხედრო ოპერაციებს ჩრდილოეთ ანგოლაში. პორტუგალიის კოლონიური არმიის ყველა ცდა გაეძევებინა პარტიზანები მათი პოზიციებიდან, სრული ჩაფუშვით დამთავრდა. მიუხედავად იმისა, რომ პარტიზანები მტრის გარემოცვაში არიან და დიდ სიძნელეებს განიცდიან მომარაგების მხრივ, ისინი მოსვენებას არ აძლევენ დამსჯელებს და განუწყვეტლივ უტევენ მათ პოზიციებს. პარტიზანთა საბრძოლო და მორალური სულისკვეთება, ხაზი გაუსვა დოს სანტოსმა, უაღრესად მტკიცეა.

ანგოლის განთავისუფლებისათვის სახალხო მოძრაობის აქტივისტები, აღნიშნა შემდეგ დოს სანტოსმა, დიდ პოლიტიკურ მუშაობას ეწევიან ანგოლის მთავარ ქალაქებში. ჩვენი მოძრაობის ადგილობრივი განყოფილებანი შეიქმნა ისეთ ქალაქებში, როგორიცაა ლუანდა, ახალი ლისაბონი, მალანჟე, ლობიტუ და ბენგელა.

დარწმუნებული ვართ, დასძინა დოს სანტოსმა, რომ შორს არ არის ის დღე, როცა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მზე ამოვა ანგოლასა და კაბინდაში, რომლებიც დაამსხვრევენ კოლონიური მონობის ბორკილებს და თავისუფალი და დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგებიან.

## რას წერს უცხოეთის პრესა

საზღვარგარეთის გაზეთები თვალსაჩინო ადგილას ათავსებენ ცნობას, რომ დამთავრდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის ვიზიტი თურქეთში. აშუქებენ დელეგაციის მეთაურის ნ. ვ. პოდგორნის განცხადებას, რომელიც მან გააკეთა მოსკოვში ჩამოსვლის შემდეგ. ამასთან ხაზს უსვამენ, რომ შეხვედრები, რომლებიც დელეგაციას ჰქონდა თურქეთში, სასარგებლო წვლილია საბჭოთა კავშირისა და თურქეთის კეთილმეზობლური ურთიერთობისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარებაში.

საზღვარგარეთის პრესა კვლავ განიხილავს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში შექმნილ მდგომარეობას. ამერიკის პრესა ათავსებს პენტაგონის განცხადებას, რომ ცენტრალურ ლაოსში ჩამოაგდეს ამერიკის ორი ბომბდამშენი. „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი" აღიარებს, რომ ეს თვითმფრინავები მონაწილეობდნენ პატრიოტული ძალების პოზიციებზე თავდასხმაში.

ფრანგული „პოპულერ დე პარი" აშუქებს სამხრეთ ვიეტნამის ამბებს და ხაზს უსვამს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს, რა თქმა უნდა, არ ძალუძთ „სამხედრო გამარჯვება მოიპოვონ სამხრეთ ვიეტნამში" და რომ სისხლის ღვრის შეწყვეტა ამ რაიონში „შეიძლება მხოლოდ მოლაპარაკების გზით".

„ნიუ-იორკ ტაიმსი" და „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი" აშუქებენ ვაშინგტონში გამოქვეყნებულ კომუნიკეს იაპონიის პრემიერ-მინისტრის სატოსა და პრეზიდენტ ჯონსონის მოლაპარაკების შესახებ. იაპონური „მაინიჩი" ეხება მოლაპარაკებას, რომელსაც სატო აწარმოებდა ვაშინგტონში, და აღნიშნავს, რომ იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ვერ შეძლო მიეღო ამერიკის შეერთებული შტატებისაგან „პასუხი ოკინავის მოსახლეობის კარდინალურ მოთხოვნებზე", რომელიც პროტესტს აცხადებს ამერიკული ოკუპაციის წინააღმდეგ.

ფრანგული „ეკო" ეხება ინგლისის პრემიერ-მინისტრის ჰ. ვილსონის მომავალ გამგზავრებას პარიზში. გაზეთს მიაჩნია, რომ პრეზიდენტი დე გოლი ვილსონთან მოლაპარაკების დროს „უთუოდ მოაგონებს თანამოსაუბრეს, რომ ინგლისისათვის გაცილებით ხელსაყრელია პირი იბრუნოს ევროპისაკენ, ვიდრე ვაშინგტონზე ჰქონდეს აღებული გეზი".

დასავლეთგერმანული „ფრანკფურტერ-რუნდშაუ" კომენტარს უძღვნის დასავლეთ გერმანიის კანცლერის ერჰარდის მომავალ ვიზიტს პარიზში. გაზეთი აღნიშნავს, რომ ერჰარდი უწინარეს ყოვლისა განიხილავს პრობლემებს, რომლებიც შეეხება „საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის ერთობლივ ინიციატივას ევროპის საკითხებში".

ინდოეთის „ჰინდუსტან ტაიმსი" განიხილავს მმართველი პარტიის ინდოეთის ეროვნული კონგრესის დურგაპურის ყრილობის შედეგებს.

გაზეთებში ბევრი ადგილი უკავია ინფორმაციას საშინაო თემებზე.

ინგლისის პრესა სავსეა ცნობებით ინგლისის საავიაციო მრეწველობაში კრიზისის შესახებ.

პარიზის გაზეთები აქვეყნებენ ინფორმაციას, რომ გუშინ გაიმართა საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელმაც განიხილა ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა. „ლუმანიტე" აღნიშნავს, რომ „განზრახ გართულებული პროცედურა, რომელსაც მთავრობა იყენებს ხელფასის საკითხის შესწავლისათვის, მოწმობს, რომ მას სურს გააჭიანუროს ამ პრობლემის გადაჭრა, რომელიც მილიონობით ფრანგს აღელვებს".

„პარი-ჟური" აღნიშნავს, რომ საფრანგეთის პროფკავშირებს „იმედი გაუცრუა მინისტრთა საბჭოს გუშინდელ სხდომაზე ეკონომიური მდგომარეობის განხილვის შედეგებმა".

ჩეხოსლოვაკიის „რუდე პრავომ" მოათავსა სტატია ახალგაზრდა კომუნისტებთან აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ.

რუმინეთის პრესა იუწყება, რომ სახელმწიფოში შრომითი აღმავლობაა, რომ მწყობრში ჩადგა ახალი საწარმოო სიმძლავრეები.

პოლონური „ტრიბუნა ლუდუ" ათავსებს ცნობას პარტიული კონფერენციების შესახებ, რომლებიც გაიმართა ბელოსტოკსა და შჩეცინში. (საკდესი).

საზღვარგარეთული პრესა

l'Humanité
Daily Worker
l'Unità



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფიქრები ისრაელიდან მოსულ წერილებზე

# მოსტოვების ოჯახის ორი ბედნიერება

ჩემს პირდაპირ, სარედაქციო მაგიდასთან, ხნიერი ქალი, თვალებში სევდა რომ ჩასდგომია, ფრთხილად არჩევს წერილებს. დასტად აწყობს მათ. შემდეგ კვლავ შლის მაგიდაზე და ერთ-ერთს მაწვდის:

— ეს წაიკითხეთ?

ვეუბნები, რომ ყველა წავიკითხე, რომ წერილები ისევე მომხვდა გულზე, როგორც ჩემს ამხანაგებს. და რომ ბევრი რამ, რაზეც ლაპარაკია წერილებში, ისეთი მეჩვენება... დიდხანს ვარჩევ სიტყვას, რომ არ ვაწყენინო მოხუც ქალს. იგი კი, ეტყობა, მიხვდა ამას და მწარედ იღიმება:

— გინდათ თქვათ — საშინელი გეჩვენებათ?

— დიახ...

— მაშ უამბეთ ეს იმათ, ვინც ოცნებობს „სამოთხეზე აღთქმულ ქვეყანაში".

როზალია ტეიველის ასული გოფმანი მიტოვებს დისწულისაგან ისრაელიდან მარტო გასული წლის რამდენიმე თვის განმავლობაში მიღებული წერილების დასტას. კვლავ ვკითხულობ აკურატულ სტრიქონებს. და ახლა, როცა ბევრი რამ ვიცი მოსტოვების ოჯახზე, რუსულად დაწერილ ამ სტრიქონებში მესმის არა მარტო სევდა სამშობლოზე, არამედ იმ ადამიანთა უდიდესი ტრაგედიაც, რომლებმაც დაკარგეს და ვერ ჰპოვეს ბედნიერება...

აი სულ რამდენიმე სტრიქონი. ტაუბა ალექსანდრეს ასულ მოსტოვას წერილიდან:

„საბჭოთა ადამიანი ვერ მიხვდება, რა არის ფაშისტური ბანგი, რომლითაც გაულენთილია მთელი აღზრდა აქაურ სკოლებში". „აქ ძლიერს შეუძლია ძალა დაატანოს, კიდევაც გაძარცვოს უფრო სუსტი". „აქაური ჭაობიდან თავის დაღწევა ერთადერთი იმედია. ეს რომ არა, სიცოცხლე არ ეღირებოდა..."

მაშ რატომ წავიდა ორი წლის წინათ მოსტოვების ოჯახი ისრაელში? ალბათ აქ თავისი როლი შეასრულა არა მარტო ნათესავების წერილებმა. ბოლოს და ბოლოს აბრამ მოსტოვი ყმაწვილი როდია, მაგრამ არც ღვთისმოსავი მოხუცია. თვითონ მუშაა. თითქმის ოც წელიწადს მუშაობდა ლეიტ. შმიდტის სახელობის ქარხანაში. ოცდათერთმეტ წელს დაიწყო მუშაობა შავ მუშად, შემდეგ მექანიკური საამქროს ტექნიკოსი გახდა, — მას დღესაც კეთილად იგონებენ ქარხანაში.

— იცოდა, უყვარდა მუშაობა, — მორჩა და გათავდა.

ასეთ აღიარებას დამსახურება უნდა, იგი ბევრ რამედ ღირს. და მართლაც, არქივებში ვიპოვნე არა მარტო ბრძანებანი წარჩინებული მუშაობისათვის დირექციის მიერ გამოცხადებული მადლობით, ფულადი პრემიებით. არამედ ასეთებიც: „დამკვრელი ფრონტული ბრიგადა..." თორმეტ-თორმეტ საათს, მთელ დღე-ღამეებს არ მიდიოდა ხოლმე მოსტოვი ქარხნიდან — ფრონტი ახლოს იყო. მუშა დააჯილდოვეს მედლით „კავკასიის დაცვისათვის" და მეორე მედლით — „დიდი სამამულო ომის წლებში მამაცური შრომისათვის".

მერმე, წარმოებაში მიღებული ტრავმის შემდეგ კაცი 50 მანეთ პენსიას იღებდა და მუშაობას განაგრძობდა. ოჯახი მხიარულად და შეხმატკბილებულად ცხოვრობდა. უფროს გოგონას, ფანიას, გამგზავრების წელს მეექვსე კლასი უნდა დაემთავრებინა. მისი ძმა საშა იმავე, მე-15 სკოლაში მეორე კლასში სწავლობდა. დიასახლისი კი ცოლი, ტაუბა ალექსანდრეს ასული იყო, ისიც წარსულში მუშა. თქვენ იკითხავთ, იქნებ გაჭირვებამ აიძულა მოსტოვის ოჯახი წასულიყო ხმელთაშუა ზღვას გაღმა მდიდარი ნათესავების ნასუფრალზე? არა, ამას ვერ იტყვი.

ჰკითხეთ მეზობლებს, იმათ, ვინც დღეს ცხოვრობს № 233 სახლში მ. ა. ალიევის ქუჩაზე, და ისინი გეტყვიან, რომ მოსტოვს ჰქონდა ოროთახიანი ბინა, თანამედროვე ავეჯი, ტელევიზორი, მაცივარი და ა. შ. ბავშვები კი მუდამ ლოყაწითელი დარბოდნენ. ერთი სიტყვით, საბჭოთა ოჯახი იყო, როგორიც მილიონებია.

არა, ნათესავების მიწვევამ როდი უკარნახა მოსტოვს დაეტოვებინა სამშობლო. მაშ რამ?

პირდაპირ ვთქვათ, აღვირახსნილმა სიონისტურმა პროპაგანდამ, დაწყებული „ისრაელის ხმის" მოწუწუნე გადაცემებით, რომელიც სხვა, ოკეანესგაღმელი „ხმის" ჰანგებს იმეორებს, და დამთავრებული ისრაელის დაზვერვის მიერ პირდაპირი დამუშავებით. რამდენიმე წლის წინათ ბაქოში ჩამოვიდა ისრაელის ყოფილი ელჩი სსრ კავშირში ავიდარი და ბაქოს სინაგოგის მრევლს სთხოვა გადაეცათ მოსტოვისათვის, რომ იგი იცნობს მოსტოვის ნათესავებსაც და თვითონ მასაც. და რომ „მამათა მიწაზე" დაბრუნების მისწრაფება ფრიად საქებია ყოველი წესიერი ებრაელისათვის.

სიონისტები სხვადასხვა მტრულ მეთოდს მიმართავენ, იდეოლოგიურ დივერსიას ეწევიან, ნაციონალისტურ გრძნობებსა და ემიგრაციულ განწყობილებებს უღვივებენ სსრ კავშირში და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში მცხოვრებ ებრაული ეროვნების პირებს.

იმავე წლებში ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნდა შემდეგი განცხადება:

„მე არ შემრცხვება ვაღიარო შემდეგი: რომ მქონდეს არა მარტო ნება, არამედ ძალაუფლებაც, შევარჩევდი ღონიერი ახალგაზრდების — ჭკვიანი, თავმდაბალი, ჩვენი იდეების ერთგული და ებრაელთა დაბრუნებისათვის ხელშეწყობის სურვილით აგზნებული ახალგაზრდების ჯგუფს და გავგზავნიდი მათ იმ ქვეყნებში, სადაც ებრაელები ცოდვილ თვითკმაყოფილებაში ჩაფლულან. ამ ახალგაზრდების ამოცანა იქნებოდა შენიღბულიყვნენ არაებრაელებად, ემოქმედათ უხეში ანტისემიტიზმის მეთოდებით და ეწარმოებინათ ამ ებრაელების დევნა ანტისაბჭოთა ლოზუნგებით. შემიძლია თავდებობა გავწიო, რომ შედეგები ამ ქვეყნებიდან ისრაელში იმიგრანტთა მნიშვნელოვანი ნაკადის შემოსვლის თვალსაზრისით ათი ათასჯერ მეტი იქნებოდა, ვიდრე ის შედეგები, რომლებსაც მიაღწია ათასობით ემისარმა უსარგებლო ქადაგებათა კითხვით".

ისრაელის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბენ-გურიონის ეს აღიარება ნიუ-იორკის გაზეთ „კემნერში" გამოქვეყნდა. ფრიად გულახდილი აღიარებაა...

ხოლო ვინაიდან სსრ კავშირში ეს მეთოდი მიუღებელია, მოსტოვის სულიერი დამრიგებელი, მქადაგებელი გახდა ცნობილი ისრაელელი მზვერავი, რომელზეც ლაპარაკი იყო ჩვენს პრესაში, მოსკოვში ისრაელის საელჩოს ატაშე ხაზან ელიაფი. იგი რამდენჯერმე შეხვდა მოსტოვს არალეგალურად, ჰპირდებოდა „სიცოცხლეში სამოთხესაც" და უმაგალითო ბედნიერებასაც.

მოსტოვებმა ბინა ჩააბარეს, ბავშვები მეზობელ ბავშვებს დაემშვიდობნენ, აბრამ ოსიპის-ძემ უკანასკნელად მოაწერა ხელი პენსიის მიღებაზე. და აი — მისი ცოლის წერილები, რომლებსაც დღეს კვლავ ვკითხულობ...

„ფაშისტური ბანგით გაულენთილია მთელი აღზრდა აქაურ სკოლებში. ბიბლია ერთ-ერთი მთავარი მოძღვრებაა არა მარტო დაწყებითს სკოლაში, არამედ ტექნიკურ და უმაღლეს სასწავლებლებშიც. ბავშვები უკვე დამახინჯებული არიან. გული მიკვდება".

ეს დაწერილია 1964 წლის აპრილში.

მოქალაქე გ., მისი გვარი არ მომყავს, იმიტომ რომ ყველა მისმა მახლობელმა როდი მოახერხა დაბრუნებულიყო სამშობლოში, გვიამბობს:

— ისრაელში რომ ჩავედით, ებრაელთა სააგენტოში (ორგანიზაცია, რომელიც იმიგრანტებთან მუშაობს) პირდაპირ გვითხრეს: „ჩვენთვის თქვენ გაფუჭებული საქონელი ხართ. თქვენ რუსები ხართ. თქვენ ვერაფერი ვერ გადაგაკეთებთ. ჩვენ გვჭირდება თქვენი შვილები". ჩემთვის ეს გაისმოდა როგორც აღიარება: რუსები, მაშასადამე, საბჭოთა ადამიანები. მივხვდი, რომ უსამშობლოდ ჩვენი სიცოცხლე არ შეიძლება...

ამ სიტყვებს ტ. ა. მოსტოვას სხვა წერილებიც ადასტურებს.

„ისრაელში თავაწყვეტილი ანტისაბჭოთა პროპაგანდაა. გიმნაზიაში საჭიროა იცოდე, დაიზეპირო ბიბლია, თორა. სწავლისათვის ქირა უნდა იხადო. ბავშვებს რუსულად ლაპარაკს უკრძალავენ. სასოწარკვეთილებამ შემიპყრო, საშას მშობლიურ ენაზე წერა დაავიწყდა, ეს ენა კი რუსულია. სკოლებში, ინსტიტუტებში გავრცელებულია პროსტიტუცია, გარყვნილება".

„გარს გვახვევიან უხეში, უწიგნური ადამიანები. აქ მხოლოდ ბიბლიაა, მხოლოდ მისი კანონებია — ჯუნგლების კანონები. მე არ შემხვედრია სსრ კავშირიდან ჩამოსული არც ერთი კაცი, არც ერთი ქალი, რომელიც ბედნიერი იყოს. ჩვენ სამშობლოზე ოცნებით ვცოცხლობთ...".

„რა ელის ჩემს გოგონას? ის ხომ საბჭოთა სკოლაში სწავლობდა, პიონერი იყო!".

სასოწარკვეთილი ქალის ამ კითხვაზე პასუხს იძლევა ისრაელის ოფიციალური სამოქალაქო კანონმდებლობა — მსოფლიოში ყველაზე ჩამორჩენილი. ამ „დემოკრატიის კერაში", როგორც ისრაელს სიონისტები უწოდებენ, აღდგენილია და ამჟამად მოქმედებს ათასი წლის ხანდაზმულობის სამართლებრივი ნორმები, მაგალითად, ქალის მიმართ. ისრაელის კანონებით ქალს უფლება არა აქვს მემკვიდრეობა მიიღოს, უფლება არა აქვს სასამართლოში მოწმედ გამოვიდეს. უშვილო ქვრივი ქმრის სიკვდილის შემდეგ ვალდებულია გარდაცვლილი ძმის ცოლი გახდეს, თუ ის მოისურვებს. თუ განსვენებულის ძმა ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდაა, ქალი მის სრულწლოვანებას უნდა დაელოდოს... ქალი მოკლებულია განქორწინების უფლებას და ა. შ.

„რა ელის საშას? უკვე ათი წლისაა..., გახსოვს, ბაქოში მოუსვენარი, ცელქი იყო. ახლა პატარა ბებერია... ღმერთო, რა ელის მას ამ ველურ ქვეყანაში!".

ამ კითხვებზე პასუხს იძლევა თვითონ მოსტოვა:

„ჩვენ დაკაბალებული ვართ ვალებით. საავადმყოფოში ვიწექი და იქ უკანასკნელი ფული დავტოვე. მე უფლება არა მაქვს ავად ვიყო, არავის უფლება არა აქვს ავად იყოს. ვალდებული ვართ ჯანსაღი ვიყოთ. აბრამი ავად არის, მუშაობს კვირაში ორ-სამჯერ, ღამით, დარაჯად, როცა სამუშაოა... სამუშაო იშვიათად არის. ხელფასი სატირალია... მთელი თვეა არ მომიწერია. გაფიცული იყვნენ ფოსტის მუშაკები... აბრამი გულგატეხილია, გრძნობს თავის დანაშაულს ოჯახის, ბავშვების წინაშე...".

ადამიანები ეძებდნენ ბედნიერებას, ეძებდნენ სხვა სამშობლოს. ისინი ბედნიერებას ვერ გრძნობდნენ, ვერ ამჩნევდნენ, იმიტომ რომ შინ ყველაფერი თავისთავად ცხადი ეჩვენებოდათ; მათთვის ცხადი იყო, რომ ბედნიერება მათთან არის, მათს მუშაობაში, მოზარდი ბავშვების სიმღერებში, მომავლის მშვიდ რწმენაში მაგრამ, ჩანს, უკვალოდ არ გაივლის ადამიანში ჩვენი, საბჭოთა ატმოსფერო, ცხრა მთას იქითაც ცოცხლობს ადამიანში სამშობლო.

აი კიდევ რამდენიმე სტრიქონი ტ. ა. მოსტოვას წერილებიდან:

„ჩვენ გვამხნევებს ის სასიხარულო, ღრმა ატმოსფერო, რითაც გარემოცულია ადამიანი საბჭოთა სინამდვილეში. ბავშვები და ჩვენ სამშობლოში დაბრუნების იმედით ვცოცხლობთ".

„როცა განსაკუთრებით გაგვიჭირდება, მეტადრე დღესასწაულებზე — 1 მაისს, 7 ნოემბერს, მთელი ოჯახი რადიოთი ვისმენთ მოსკოვსა და ბაქოს. მე ვტირი, ბავშვებიც ტირიან. მაშინ თითქოს თქვენთან ვართ, ჩვენო ძვირფასებო... ხოლო როცა რადიოს გამოვრთავთ, უფრო ცუდი, უფრო მძიმე განწყობილება იქმნება. ეს რა ჩავიდინეთ!".

და მოდის წერილები სამშობლოში, ერთადერთ სამშობლოში, რომელიც არასოდეს არ მოგატყუებს. მე კი ვფიქრობ იმაზე, რომ ადამიანს ორი ბედნიერება არა აქვს. ხომ ასეა აბრამ ოსიპის-ძევ?

დუმხართ?

ან რა უნდა თქვათ, თუ ამაზე ძალიან პატიოსნად, დიდი გულისტკივილით უკვე გასცეს პასუხი „სამოთხიდან" მოსულმა წერილებმა.

ვ. სინიცინი.

„ბაკინსკი რაბოჩი".

## ბათუმელ მეთევზეებთან

ბათუმი. (საქ. კორ.). კოლმეურნეობა „წითელი მეთევზის" კოლექტივმა სახახელო მაჩვენებლებით დაამთავრა გასული სამეურნეო წელი. სულ დაიჭირეს და წარმოებას ჩააბარეს 29.134 ცენტნერი თევზი, რაც 6.029 ცენტნერით სჭარბობს გეგმას.

„წითელი მეთევზის" სეინერებმა იანვრის პირველი დღეებიდანვე ორგანიზებულად დაიწყეს ლაშქრობა შვიდწლედის უკანასკნელი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. ყოველგვარ ამინდში აწარმოებენ თევზის ჭერას.

მარტო „სჩს-189"-ის ეკიპაჟმა ერთ დღეში 170 ცენტნერი ძვირფასი თევზი დაიჭირა.

## სამკურნალოდ ცაიშში

ახალი წლიდან კურორტ ცაიშის პანსიონატი სანატორიუმად გადაკეთდა. მწყობრში ჩადგა კეთილმოწყობილი სანატორიუმი კვების ბლოკით და საბაზანო შენობა. დაიდგა ახალი სამკურნალო-დიაგნოსტიკური აპარატურა. ცაიშის სანატორიუმში სამკურნალოდ უკვე ჩამოვიდა 200-მდე კაცი მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, მინსკიდან, სვერდლოვსკიდან, თბილისიდან, ბათუმიდან და ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებიდან.

გ. ალშიბაია.

## ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

# კუბელი მოღვაწეები საქართველოში

მრავალი ათასი კილომეტრით არის დაშორებული კუბა საქართველოს. მაგრამ მანძილი დაბრკოლება როდია მეგობრებისათვის. საბჭოთა ადამიანებს დიდ სიხარულს გვრის კუბელი ხალხის წარმომადგენელთა ყოველი ჩამოსვლა. ამიტომ არის, რომ ასე გულთბილად ხვდებიან ყველგან კუბის სოფლის მეურნეობის მუშათა პროფკავშირის ეროვნული ხელმძღვანელობის მდივანს როხელიო არმას რანხელსა და ჰავანის სოფლის მეურნეობის მუშათა პროფკავშირის პროვინციული კომიტეტის მდივანს, ალბერტო მარტინეს ენრიკეს, რომლებიც საქართველოში ჩამოვიდნენ.

13 იანვარს კუბელი ამხანაგები საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოში შეხვდნენ ხელმძღვანელ პროფკავშირულ მუშაკებს. პროფსაბჭოს მდივანმა, სოფლის მეურნეობის მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ შ. ი. გრძელიშვილმა დაწვრილებით გააცნო სტუმრებს პროფკავშირულ ორგანიზაციათა მუშაობის სტრუქტურა და პრაქტიკა.

სამ საათზე მეტ ხანს გასტანა საუბარმა. როხელიო არმას რანხელსა და ალბერტო მარტინეს ენრიკეს საფუძვლიანად აინტერესებდათ, თუ რა როლს ასრულებენ პროფკავშირები სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, როგორ ხელმძღვანელობენ სოციალისტურ შეჯიბრებას, როგორ აბამენ მშრომელებს წარმოების მართვაში, განაგებენ მუშათა და მოსამსახურეთა სახელმწიფო სოციალურ დაზღვევას და სხვ. ჩვენ ჩამოვედით აქ სასწავლებლად, — თქვა ამხ. მარტინეს ენრიკემ, — და თქვენი პროფკავშირული მუშაობის გამოცდილებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის.

კუბელმა ამხანაგებმა თავის მხრივ ილაპარაკეს კუბის სოფლის მეურნეობის მუშათა პროფესიული კავშირის მუშაობაზე, ხაზგასმით აღნიშნეს, რომ თავისუფლების კუნძულის პროფკავშირთა მთელი საქმიანობა განუყრელად დაკავშირებულია კუბელი ხალხის გმირულ ბრძოლასთან რევოლუციის საქმის გამარჯვებისათვის. მათ კუბის სოფლის მეურნეობის მუშათა პროფკავშირის ეროვნული ხელმძღვანელობის სახელით მხურვალე სალამი გადასცეს რესპუბლიკის კოლმეურნეებს, სოფლის მეურნეობის მუშებსა და მოსამსახურეებს.

13 იანვარს სტუმრები იყვნენ საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტსა და ვარკეთილის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. საღამოს ისინი გაემგზავრნენ მახარაძის რაიონში, საიდანაც წავლენ აჭარის ასს რესპუბლიკაში.

(საქდესი).

დღითიდღე იზრდება და ლამაზდება კურორტი წყალტუბო. ჯანმრთელობის ეს შესანიშნავი კერა განთქმულია მთელ ჩვენს ქვეყანაში. გასული წელი მეტად ნაყოფიერი იყო კურორტის მშენებლებისათვის. საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი საბაზანო შენობა, რომელიც თვალს იტაცებს ნათელი, ორიგინალური არქიტექტურით. მისი მთავარი ღირსება ის არის, რომ იგი მსოფლიოში პირველი სამკურნალო საბაზანოა, რომელშიც მთლიანად ავტომატიზებულია მინერალური წყლის მიწოდება.

შენობის სარდაფში მოთავსებულია ურთულეს მოწყობილობათა მთელი კომპლექსი, რომლის დახმარებითაც ხდება წყლის მიწოდების რეგულირება.

სურათზე: ახალი საბაზანოს შენობა.

ფოტო გ. გერსამიასი. (საქდესის ფოტოქრონიკა).




## ახალი წიგნები

სიკო ფაშალიშვილი — „ლექსები". რედაქტორი ლ. ნანიტაშვილი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო". მხატვარი ლ. ცომაია. ტირაჟი 2000. ფასი 29 კაპ.

ოთარ ფირალიშვილი — „ივანე გუგუნავა" (მივიწყებული მხატვრის კვალდაკვალ). რედაქტორი ე. ცაგურია. გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება". მხატვარი ირ. ჯანაშვილი. ტირაჟი 2.000. ფასი 1 მან. 25 კაპ.

კონსტანტინე პაუსტოვსკი — „ნახტომი სამხრეთისაკენ" (ორი მოთხრობა). თარგმანი გ. გოგიაშვილისა. რედაქტორი ა. დავითიანი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო". მხატვარი ნათელა იანქოშვილი. ტირაჟი 10.000. ფასი 70 კაპ.

მარგო თომაძე — „თეთრი დედოფალი" (პატარა მოთხრობები). რედაქტორი ლ. ქადაგიშვილი. გამომცემლობა „ნაკადული". მხატვარი დ. ნოდია. ტირაჟი 20.000. ფასი 7 კაპ.

პ. ჭიოკაძე — „მთები და ადამიანები" (ნარკვევები შვიდწლედის ადამიანებზე). რედაქტორი შ. კაპანაძე. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო". მხატვარი ნ. ლაფაჩი. ტირაჟი 1000. ფასი 7 კაპ.

## საინტერესო სიახლენი

### მფრინავი გემი „ტაიგა"

გორკი, 12 იანვარი. (საკდესის კორ.). გემი მდინარეზე მიცურავს. მაგრამ აი წინ აღიმართა დაბრკოლება — მდინარე დაცურებული მორებით არის ჩახერგილი. მაგრამ გემი კვლავ უახლოვდება ამ ადგილს. იგი წყლიდან აფრინდა და სიჩქარის დაუკლებლად დაძლია საშიში მონაკვეთი.

ჰაერბალიშიანი ასეთი გემი დააპროექტეს გორკის ქარხნის „კრასნოე სორმოვოს" კონსტრუქტორებმა. იგი გათვალისწინებულია ხეტყის დაცურების უბნებში მუშაობისათვის, რომლებიც გაუვალია თანამედროვე სამდინარო ტრანსპორტისათვის.

გემი „ტაიგას" შეუძლია 2 ტონა ტვირთის ზიდვა. მას საკმაოდ მაღალი ჰაერის ბალიში აქვს (20-30 სანტიმეტრი), რომელსაც გაზტურბინის ძრავა ქმნის. გემის სიგრძე 13 მეტრი, სიგანე — 6 მეტრი. სიჩქარე სრული დატვირთვის დროს საათში 50 კილომეტრს მიაღწევს.

ახლა ქარხანაში 50 ადგილიანი ჰაერბალიშიანი სამგზავრო გემი შენდება.

### ალუმინისა და პლასტმასის სახლი

მოსკოვი, 13 იანვარი. (საკდესის კორ.). ფოლადის კონსტრუქციების საპროექტო ინსტიტუტის ინჟინრებმა შექმნეს ალუმინისა და პლასტმასის ერთსართულიანი ასაწყობი საცხოვრებელი სახლის პროექტი. ამ მოსახერხებელ ბინებში იცხოვრებენ პოლარელები, მაღალი მთის ექსპედიციების მონაწილენი, გეოლოგები.

სახლში, რომლის ფართობი 108 კვადრატული მეტრია, არის ხუთი იზოლირებული ოთახი, სამზარეულო, საკუჭნაო, საავარიო გამოსასვლელი. კედლები, იატაკი და სახურავი დამონტაჟდება სამფენიანი შეწებებული პანელებისაგან. ორი გარეთა ფენა მზადდება ალუმინის შენადნობისაგან, შიდა ფენა — თბოიზოლაციისა — ფენოპლასტისაგან. დეტალები ჭანჭიკების მეშვეობით მაგრდება. ასეთი სახლისათვის საძირკველი არ არის გრიგალი თუ ქარბუქი. მის აწყობას სულ სამი-ხუთი დღე დასჭირდება.

მუდმივი ძლიერი ქარების რაიონებში შენობის დადგმის დროს გათვალისწინებულია ქარის საწინააღმდეგო საჭიმარები, სახლი რომ თოვლმა არ დაფაროს, მას ხიმინჯებზე დადგამენ.

## შემთხვევები

# მამაცობა მყინვარზე

ფრუნზე, 13 იანვარი. (საკდესის კორ.). ყირგიზმა ჰიდრომეტეოროლოგებმა ზამთრის პერიოდისათვის უმაგალითო ლაშქრობა მოაწყეს პამირის მაღალი მთის ფედჩენკოს მყინვარზე, ეს ლაშქრობა მოეწყო ამხანაგის გადასარჩენად.

...მყინვარიდან მოსულ რადიოგრამაში ნათქვამი იყო, რომ მძიმედ გახდა ავად სადგურის უფროსი იური შულგა. სადგური კი ზღვის დონიდან 4 ათას მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს.

იურის ამხანაგებმა ქარიმ ფარახოვმა და ნიკოლოზ პერესკოკოვმა იკისრეს ავადმყოფის ძირს ჩამოყვანა იმ ადგილამდე, სადაც ცხენები მიუდგებოდნენ. მამაცმა ადამიანებმა არად ჩააგდეს საშინელი საფრთხე, რომელიც ყოველ ნაბიჯზე ელოდათ და თითქმის დღე-ღამის განმავლობაში ებრძოდნენ გამძვინვარებულ სტიქიას.

მხოლოდ მეორე დღეს შეხვდა მათ სპეციალურად გამოგზავნილი ცხენების ქარავანი. ქარავანმა იური შულგა წაიყვანა და შემდეგ ვერტმფრენით ფრუნზეში გადაგზავნა.

## ჩემპიონატები • ტურნირები • მატჩები

კომუნისტი სპორტი

# ლიდერები პოზიციებს ინარჩუნებენ

კიევის საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის მონაწილეები ფინიშს უახლოვდებიან. გუშინ მოეწყო თორმეტი ტურის შემდეგ გადადებული პარტიების დამთავრება.

ბრძოლის განუახლებლად გროსმაისტერი ვასიუკოვი დანებდა ლიდერს — კორჩნოის. გროსმაისტერ ავერბახს ოსნოსის წინააღმდეგ თვალსაჩინო პოზიციური და მატერიალური უპირატესობა ჰქონდა და პარტიაც თავის სასარგებლოდ დაამთავრა. ასევე წარმატებით იბრძოლა პეტერსონი სუეტინის წინააღმდეგ და სატურნირო ცხრილში მეტად საჭირო ქულა ჩაიწერა.

ამრიგად, ლიდერები პოზიციებს არ თმობენ. კორჩნოის თორმეტი ტურის შემდეგ 9,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, ბრონშტეინს, შტეინსა და შამკოვიჩს — რვა-რვა ქულა.

დღეს ჩემპიონატის მონაწილეები ისვენებენ. 16 იანვარს გაიმართება მორიგი მეცამეტე ტური.

## საუბარი დიდ ფეხბურთზე

მოსკოვში მიმდინარეობს „ა" კლასის ფეხბურთელთა კოლექტივების, აგრეთვე სსრ კავშირის ნაკრებთა უფროსების, უფროსი მწვრთნელების, მწვრთნელებისა და ექიმების კონფერენცია.

1964 წლის შედეგებზე და ახალი სეზონის ამოცანებზე მოხსენება გააკეთა ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილემ სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. მოშკარკინმა.

კონფერენციის მონაწილენი გაეცნენ 1965 წლის ჩემპიონატის კალენდარს და მომავალი პასუხსაგები საერთაშორისო შეხვედრებისათვის სსრ კავშირის ნაკრებთა მომზადების გეგმებს.

## მონტე-კარლოს საერთაშორისო

სსრ კავშირის ცენტრალური ავტომოტოკლუბიდან, რომელიც მოსკოვის ახლოს რასტორგუევოში მდებარეობს, 12 იანვარს მინსკისაკენ გაემართა „მოსკვიჩებისა" და „ვოლგების" კოლონა. ამ მანქანებმა სტარტი უნდა აიღონ მიმდინარე წლის პირველ და ერთ-ერთ უდიდეს ავტორბოლაში — „რალი მონტე-კარლო". პოპულარულ ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებენ 22 სახელმწიფოს სპორტსმენები, მათ შორის ავსტრალიის, ინგლისის, ბელგიის, იტალიის, ირანის, ამერიკის შეერთებული შტატების, ნორვეგიის, შვეციის, ფინეთის, საფრანგეთის გუნდები.

„მოსკვიჩებისა" და „ვოლგების" კაპოტზე წარწერილია: „რალი მონტე-კარლო", ხოლო კარზე — დიდი სასტარტო ნომერი. ყველა ავტომობილი აღჭურვილია დამატებითი ნისლსაწინააღმდეგო ფარებით, პროჟექტორებით, „სპიდპილოტებით" და სხვა სპეციალური ხელსაწყოებით.

16 იანვარს ევროპის ცხრა ქალაქიდან შორეულ გზას გაუდგება დაახლოებით 300 მანქანა. ისე როგორც წინათ, 20 ეკიპაჟი გაემგზავრება მინსკიდან. საბჭოთა მანქანებს წაიყვანენ გამოცდილი მძღოლები, რომლებიც უკვე მონაწილეობდნენ ამ ასპარეზობაში. ესენი არიან მოსკოველები ვ. შაველევი, ნ. სუჩკოვი, ე. ლივშიცი და ა. კარამიშევი, გამომცდელები ქალაქ გორკიდან გ. დობროვოლსკი და ვ. მოსოლოვი, აგრეთვე რიგელი დებიუტანტები ვ. სეზენევსკი და გ. ციმერმანი.

ყველა მარშრუტი (თითოეულის სიგრძე დაახლოებით 5 ათასი კილომეტრია) თავს მოიყრის მონაკოს სამთავროში.

## კვლავ კავგოლოვოში

მოთხილამურეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი კავგოლოვოში ახალმა ტრადიციულმა შეჯიბრებამ შეცვალა. გუშინ აქ დაიწყო სსრ კავშირისა და ფინეთის შეიარაღებულ ძალთა გუნდების პაექრობა სათხილამურო გადარბენებში.

25 კილომეტრის გადარბენაში უძლიერესი იყო საბჭოთა გუნდი, რომელსაც მეთაურობდა ნ. პუზანოვი.

# საზღვარგარეთ

### ტურნირი სანტ-იაგოში

სანტ-იაგოში (ჩილი) დაიწყო ფეხბურთელთა უძლიერესი კოლექტივების საერთაშორისო ტურნირი. მონაწილეობენ ბრაზილიის ცნობილი საკლუბო გუნდი „სანტოსი", არგენტინის „რივერ პლეიტი", ჩეხოსლოვაკიის ნაკრები და ჩილის წამყვანი კლუბების სამი გუნდი.

დიდი ინტერესი გამოიწვია ჩეხოსლოვაკიის ნაკრებისა და ჩილის საკლუბო გუნდის „უნივერსიდადის" თამაშმა. მატჩი გამოირჩეოდა შეუპოვარი ბრძოლით. მეტოქეებმა 7 ბურთი გაიტანეს. გამარჯვება ჩეხოსლოვაკიელებს ხვდათ ანგარიშით 4:3.

### გარინჩა „იუვენტუსში" ითამაშებს

ამ დღეებში რიო-დე-ჟანეიროს ეწვია იტალიის ცნობილი საკლუბო გუნდის „იუვენტუსის" სპეციალური წარმომადგენელი. ეს სტუმრობა მიზნად ისახავდა მოლაპარაკებას ბრაზილიის კლუბ „ბოტაფოგოს" სახელმოხვეჭილ ფეხბურთელ მანუელ დოს სანტოსთან, რომელიც გარინჩას სახელით არის ცნობილი.

როგორც ჩანს, გარიგება მოხდა. გარინჩას განცხადებით, იგი მონაწილეობას მიიღებს იტალიის პირველობის გათამაშებაში, გამოვა „იუვენტუსის" გუნდის შემადგენლობაში.

### დონ შოლანდერი — ამერიკის „ვარსკვლავი"

ყოველი წლის დასაწყისში შეერთებულ შტატებში ეწყობა სპორტულ ჟურნალისტთა და რადიოკომენტატორთა გამოკითხვა გასული სეზონის უძლიერესი სპორტსმენის გამოსავლინებლად. ასეთი გამოკითხვა მოეწყო წელსაც.

გამოკითხვის შედეგად ყველაზე მეტი ხმა მიიღო და ამერიკის შეერთებული შტატების № 1 სპორტსმენად აღიარებულ იქნა ცნობილი მცურავი დონ შოლანდერი.

### ითამაშებს თუ არა მაკკინლი?

დევისის თასის გათამაშებას ჩოგბურთში მსოფლიოს არაოფიციალურ პირველობას უწოდებენ. ამ ტრადიციულ ასპარეზობაში მონაწილეობას იღებენ თითქმის ყველა ქვეყნის გამოჩენილი ჩოგბურთელები. შეჯიბრებას ახალ სეზონშიც დიდი ინტერესით მოელიან, მაგრამ გამოირკვა, რომ მსოფლიოში აღიარებული ჩოგბურთელი ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი მაკკინლი შეჯიბრებაში მონაწილეობას ვერ მიიღებს, რადგან მან მუშაობა დაიწყო ნიუ-იორკის ერთ-ერთ ფირმაში და დრო არ ექნება.

# ეკრანის პრემიერა

ორშაბათიდან, 18 იანვრიდან საქართველოს კინოფილმების გამქირავებელი რესპუბლიკური კანტორა უშვებს ახალ მხატვრულ ფილმს (ორ სერიად).

### „თავმჯდომარე"

ფილმი ნაჩვენები იქნება რუსთაველის სახელობის კინოთეატრსა და „ამირანში".

სცენარის ავტორია ა. ნაგიბინი, დამდგმელი-რეჟისორი — ა. სალტიკოვი, ოპერატორი — ვ. ნიკოლაევი.

როლებს ასრულებენ:

მიხეილ ულიანოვი, ივანე ლაპიკოვი ნონა მორდიუკოვა და სხვები.

კინოსტუდია „მოსფილმის" ნაწარმოები.



სურათზე: კადრი ფილმ „თავმჯდომარედან".

## თეატრები

15 იანვარი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — აიდა (მე-6 აბონ. მე-4 წარმოდგენა), რუსთაველის სახელობის დიდი დარბაზი — მეტეხის ჩრდილში (აბონ. გარეშე), რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — ალექსი სკაერონსკის (როიალი) კონცერტი, მარჯანიშვილის სახელობის — მკვდრის მზე (მე-15 აბონ. 1-ლი წარმოდგენა), გრიბოედოვის სახელობის — პირველი ნაბიჯი (მე-11 აბონ. მე-5 წარმოდგენა), სანკულტურის — ვაზისუბნელი ძმაკაცები, მოზარდ მაყურებელთა ქართული — კონა (№ 28 აბონ. საღ. 6 ს.).

## ტელევიზია

15 იანვარი

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — „სკოლების დასახმარებლად" — სასწავლო ფილმი „შავი ზღვის სანაპირო", 18.20 — უფროსკლასელთათვის — „ესთეტიკური აღზრდის ტელელექტორიუმი", 18.40 — კინონარკვევი, 19.00 — გადაცემა ციკლიდან — „ისინი ჩვენი ბედნიერებისათვის იბრძოდნენ" — ვ. იმედაძე, 19.15 — განცხადებები, 19.20 — გადაცემა „სტუმრად ქუთაისის საწარმოებში", 19.35 — კინონარკვევი, 19.45 — „ლახტის წრეში", 19.55 — გადაცემა ციკლიდან — „გამოჩენილი კომპოზიტორები" — რ. გლიერი, 20.30 — მხატვრული ფილმი „გველოდეთ განთიადისას", 22.00 — ახალი ამბები, 22.15 — საესტრადო კონცერტი — „მოკითხვა შენგან".

## რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

## რადიო

15 იანვარი

პირველი პროგრამით

11.15 — კამერული მუსიკის კონცერტი, 12.10 — გაზეთ „ნორჩი ლენინელის" ფურცლებზე, 12.20 — კონცერტი — „ჩვენი თვითმოქმედება", 13.10 — ინსტრუმენტული ანსამბლის კონცერტი, 13.40 — ლატვიური სიმღერები, 17.15 — მუსიკალური ლექსიკონი, 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის, 18.10 — ა. ბალანჩივაძე. მესამე კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, 18.45 — შუმანის რომანსები, 19.30 — გადაცემა ციკლიდან — „საბჭოთა პროდუქცია საუკეთესო უნდა იყოს", 19.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.15 — „ძილისპირული", 20.30 — კონცერტი რადიომსმენელთა დაკვეთით, 21.30 — ა. ყაზბეგი. „ციცია", 20.30 — „მღერის შარლ აზნავური".

## დისერტაციის დაცვა

1965 წლის 4 თებერვალს, დღის 12 საათზე საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე (რუსთაველის პროსპექტი, 29) ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად აკაკი კონდრატის-ძე კინწურაშვილი დაიცავს დისერტაციის თემაზე: „საქართველოს კომპარტიის ბრძოლა პარტიის რიგების ლენინური ერთიანობისათვის (1921-1925 წწ.)".

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14. კომუტატორი: 8-15-00-დან 09-მდე. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 8-08-67, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 3-46-10, განყოფილებებისა: პარტიული—9-87-61, პროპაგანდის—8-22-89, მრეწველობის—3-20-43, სოფლის მეურნეობის—3-32-46 საბჭოთა მშენებლობის — 3-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-35-01, ინფორმაციის — 3-16-90, უცხოეთის - 3-18-55, წერილების—9-73-24, ილუსტრაციის—3-19-99, განცხადებების—9-94-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები